

შპს „სანტე ჯი ემ თი პროდუქტები“

ფინანსური ანგარიშგება
და
დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

2021 წლის 31 დეკემბერი

PKF KAIZEN JSC

შპს „სანტე ჯი ემ თი პროდუქტები“ სარჩევი

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა	3-5
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	6
სრული შემოსავლის ანგარიშგება	7
კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება	8
ფულადი ნაკადების ანგარიშგება	9
განმარტებითი შენიშვნები	10
დასკვნის ბოლო გვერდი	23

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს სანტე ჯი ემ თი პროდუქტების დამფუძნებლებს

მოსაზრება

ჩვენ ჩავატარეთ შპს „სანტე ჯი ემ თი პროდუქტები“-ს (შემდგომში „კომპანია“) ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც შედგება 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისგან, ამავე თარიღში დამთავრებული წლის სრული შემოსავლების, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების და ფულადი ნაკადების ანგარიშგებისგან, ასევე ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული შენიშვნებისგან, რომელთა შორისაა ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა.

ჩვენი აზრით, თანდართული ფინანსური ანგარიშგება ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მისი საქმიანობის შედეგებს და ფულადი სახსრების მოძრაობას აღნიშნულ თარიღში დასრულებული წლისთვის ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (IFRS) შესაბამისად.

მოსაზრების საფუძველი

ჩვენ აუდიტი ჩავატარეთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ISA) შესაბამისად. ჩვენი ვალდებულებები აღნიშნული სტანდარტების მიხედვით, უფრო დეტალურად აღწერილია ჩვენი ანგარიშის ფინანსური ანგარიშგებების განყოფილებაში დასახელებით - აუდიტორის ვალდებულებები ფინანსური ანგარიშგებების აუდიტისთვის. ჩვენ ვართ კომპანიისგან დამოუკიდებელი პროფესიონალ ბუღალტერთა ეთიკის კოდის (IESBA Code) ეთიკის სტანდარტების საერთაშორისო საბჭოს და საქართველოში არსებულ ჩვენს აუდიტთან დაკავშირებული ეთიკის მოთხოვნების შესაბამისად და აღნიშნული მოთხოვნების (და IESBA კოდის) შესაბამისად ვასრულებთ ჩვენ ეთიკურ მოვალეობებს. ჩვენი აზრით, ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულება შესაბამისია და საკმარის საფუძველს იძლევა ჩვენი მოსაზრების წარმოსადგენად.

მმართველობითი ანგარიშგება

კომპანიის ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია მმართველობითი ანგარიშგების წარდგენაზე. მმართველობითი ანგარიშგება მოიცავს ინფორმაციას კომპანიის საქმიანობის შესახებ, რისკების ანალიზის, სამომავლო გეგმების და სხვა ინფორმაციას, ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის შესაბამისად.

ჩვენ მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით ჩვენი პასუხისმგებლობა იმაში მდგომარეობს, რომ გავცნოთ ზემოაღნიშნულ მმართველობით ანგარიშგებას და განვიხილოთ, არის თუ არა მმართველობითი ანგარიშგება არსებითად შეუსაბამო ფინანსურ ანგარიშგებასთან, ან აუდიტის პროცესში ჩვენ მიერ მოპოვებულ ინფორმაციასთან, ან სხვა მხრივ ხომ არ ტოვებს ისეთ შთაბეჭდილებას, რომ არსებითად მცდარია და წარვადგინოთ შესაბამისი ანგარიში.

დამატებით, ჩვენი ვალდებულებაა გამოვთქვათ მოსაზრება მომზადებულია თუ არა მმართველობითი ანგარიშგება “ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ” საქართველოს კანონის შესაბამისად და მოიცავს თუ არა ის ყველა მოთხოვნილ ინფორმაციას. თუ ჩატარებული პროცედურების საფუძველზე დავასკვნით, რომ მმართველობის ანგარიშგება მოიცავს არსებით უზუსტობებს, ჩვენ ვალდებულები ვართ განვაცხადოთ ამ ფაქტზე

და უზუსტობის არსზე ჩვენ არ გაგვაჩნია საფუძველი გავაკეთოთ მოხსენება ამ საკითხთან დაკავშირებით. ჩვენს მიერ შესრულებული სამუშაოების მიხედვით, ყველა მატერიალური ასპექტის გათვალისწინებით, ვაცხადებთ:

- მმართველობით ანგარიშგებაში ასახული ინფორმაცია იმ ფინანსური წლისთვის, რომლისთვისაც მომზადებულია ფინანსური ანგარიშგება, შეესაბამება ფინანსურ ანგარიშგებას; და
- მმართველობითი ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მიხედვით და შეიცავს ამ კანონით მოითხოვნილ სრულ ინფორმაციას.

მენეჯმენტის და ფინანსური ანგარიშების მართვაზე პასუხისმგებელი პირების პასუხისმგებლობები

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად (ფასს) პასუხისმგებელია კომპანიის ხელმძღვანელობა. ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა აგრეთვე მოიცავს შიდა კონტროლის ისეთი სისტემის შემუშავებასა და დანერგვას, რომელიც უზრუნველყოფს თაღლითობით თუ შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობებისგან თავისუფალი ფინანსური ანგარიშგების მომზადებას.

ფინანსური ანგარიშგების მომზადების პროცესში ხელმძღვანელობა ვალდებულია შეაფასოს კომპანიის შესაძლებლობა - გააგრძელოს საქმიანობა უწყვეტად და, საჭიროების შემთხვევაში, წარადგინოს ახსნა-განმარტებითი ინფორმაცია საწარმოს უწყვეტობასთან დაკავშირებით. ხელმძღვანელობა აგრეთვე ვალდებულია მოამზადოს ფინანსური ანგარიშგება საწარმოს უწყვეტობის დაშვების საფუძველზე, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ხელმძღვანელობა აპირებს კომპანიის ლიკვიდაციას ან საქმიანობის შეჩერებას, ან თუ არ აქვს სხვა რეალური არჩევანი.

მმართველობითი უფლებამოსილებით აღჭურვილი პირები პასუხისმგებელნი არიან მეთვალყურეობა გაუწიონ ფინანსური ანგარიშგების წარდგენის პროცესს.

აუდიტის პასუხისმგებლობები ფინანსური ანგარიშების აუდიტისთვის

ჩვენი მიზანია მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება მასზედ, რომ ფინანსური ანგარიშგება არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობებს და წარვადგინოთ ანგარიში, რომელიც მოიცავს ჩვენს აუდიტორულ დასკვნას აღნიშნულზე. დასაბუთებული რწმუნება არის მაღალი დონის რწმუნება, მაგრამ ის არ არის გარანტია იმისა, რომ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისად ჩატარებული აუდიტი აუცილებლად გამოავლენს არსებით უზუსტობებს მათი არსებობის შემთხვევაში. უზუსტობა შეიძლება წარმოიშვას თაღლითობის ან შეცდომის შედეგად. უზუსტობები მიიჩნევა არსებითად, თუკი, გონივრულობის ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ მათ, ცალ-ცალკე ან ერთობლიობაში, შეუძლიათ გავლენა მოახდინონ ფინანსური ანგარიშგების მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებაზე. აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, აუდიტის მსვლელობისას, როგორც აუდიტის პროცესის შემადგენელი ნაწილი, ჩვენ ვიყენებთ პროფესიულ განსჯას და ვიცავთ პროფესიულ სკეპტიციზმს. ჩვენ ასევე:

- ვსაზღვრავთ და ვაფასებთ ფინანსურ ანგარიშგებაში თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობების არსებობის რისკებს, ვგეგმავთ და ვასრულებთ აუდიტორულ პროცედურებს ამგვარი რისკების საპასუხოდ და მოვიპოვებთ ჩვენი აუდიტორული მოსაზრების ჩამოსაყალიბებლად საკმარის და შესაფერის აუდიტორულ მტკიცებულებებს. თაღლითობით გამოწვეული არსებითი შეცდომების შეუმჩნეველობის რისკი შეცდომით გამოწვეული უზუსტობების შეუმჩნეველობის რისკზე მაღალია, რადგან თაღლითობა მოიცავს ისეთ ქმედებებს, როგორიცაა შეთქმულება, გაყალბება, განზრახ რაიმე ინფორმაციის გამოტოვება და არასრული სახით წარდგენა, ან შიდა კონტროლის არასწორი წარმართვა.
- ვერკვევით კონტროლის სისტემის იმ ნაწილში, რომელიც მნიშვნელოვანია ჩვენი აუდიტის მიზნებისათვის, რათა დავგვემოთ არსებული სიტუაციისათვის შესაფერისი აუდიტორული პროცედურები, მაგრამ არა იმ მიზნით, რომ გამოვხატოთ ჩვენი მოსაზრება შიდა კონტროლის ეფექტურობის შესახებ.
- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების მომზადებისთვის გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკების, ხელმძღვანელობის მიერ გაკეთებული სააღრიცხვო შეფასებების და ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებების შესაბამისობას.

- განვიხილავთ რამდენად შესაფერისი იყო ხელმძღვანელობის მიერ ფინანსური ანგარიშგების მომზადება საწარმოს საქმიანობის უწყვეტობის დაშვებაზე დაყრდნობით და, მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებების საფუძველზე, ვაფასებთ, ხომ არ არის მნიშვნელოვანი განუსაზღვრელობა დაკავშირებული იმ მოვლენებთან და პირობებთან, რომლებსაც შეუძლიათ მნიშვნელოვანი ეჭვი გააჩინონ მომავალში კომპანიის მიერ საქმიანობის უწყვეტად გაგრძელების შესაძლებლობასთან დაკავშირებით. თუ ჩვენ დავასკვნით, რომ მნიშვნელოვანი განუსაზღვრელობა არსებობს, მაშინ ჩვენგან მოითხოვება აუდიტორულ დასკვნაში მივუთითოთ ფინანსური ანგარიშგების შესაბამისი ახსნა-განმარტებითი შენიშვნა, სადაც განხილულია აღნიშნული მნიშვნელოვანი განუსაზღვრელობა, ხოლო თუკი ფინანსურ ანგარიშგებაში აღნიშნული განუსაზღვრელობის არსებობა არ არის ადეკვატურად აღწერილი, მაშინ მოგვეთხოვება აუდიტორული დასკვნის მოდიფიცირება. ჩვენი მოსაზრებები დაფუძნებულია ჩვენს მიერ აუდიტორული დასკვნის ხელმოწერის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე. თუმცა მომავალში შესაძლოა მოხდეს ისეთი მოვლენები, რომლებსაც გავლენა ექნებათ კომპანიის ფუნქციონირების გაგრძელების შესაძლებლობაზე.
- განვიხილავთ ფინანსური ანგარიშის მთლიან სტრუქტურას, რომელიც მოიცავს წარდგენებს შენიშვნებს იმაზე, თუ რამდენად სამართლიანად არის ასახული მასში ტრანზაქციები და მოვლენები. მმართველობითი უფლებამოსილებით აღჭურვილ პირებთან აუდიტის პროცესში გვქონდა კომუნიკაცია აუდიტის მასშტაბის, აუდიტის გეგმის და აუდიტის სხვა მნიშვნელოვან საკითხებზე, მათ შორის შიდა კონტროლის სისტემაში აუდიტის პროცესში გამოვლენილ მნიშვნელოვან სისუსტეებზე. სხვა საკითხების განხილვა მენეჯმენტთან არ მომხდარა.

მმართველობითი უფლებამოსილებით აღჭურვილ პირებთან აუდიტის პროცესში გვქონდა კომუნიკაცია აუდიტის მასშტაბის, აუდიტის გეგმის და აუდიტის სხვა მნიშვნელოვან საკითხებზე, მათ შორის შიდა კონტროლის სისტემაში აუდიტის პროცესში გამოვლენილ მნიშვნელოვან სისუსტეებზე.

აუდიტის შემოწმების ხელმძღვანელი, რომელმაც შეადგინა წინამდებარე დამოუკიდებელი აუდიტორის პირობითი დასკვნა არის დავით გვეტაძე.

სს ფი-ქეი-ეფ კაიზენი
27 ივნისი, 2022
თბილისი, საქართველო

- განვიხილავთ რამდენად შესაფერისი იყო ხელმძღვანელობის მიერ ფინანსური ანგარიშგების მომზადება საწარმოს საქმიანობის უწყვეტობის დაზღვევით და, მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებების საფუძველზე, ვაფასებთ, ხომ არ არის მნიშვნელოვანი განუსაზღვრელობა დაკავშირებული იმ მოვლენებთან და პირობებთან, რომლებსაც შეუძლიათ მნიშვნელოვანი ეჭვი გააჩინონ მომავალში კომპანიის მიერ საქმიანობის უწყვეტად გაგრძელების შესაძლებლობასთან დაკავშირებით. თუ ჩვენ დავასკვნით, რომ მნიშვნელოვანი განუსაზღვრელობა არსებობს, მაშინ ჩვენგან მოითხოვება აუდიტორულ დასკვნაში მივუთითოთ ფინანსური ანგარიშგების შესაბამისი ახსნა-განმარტებითი შენიშვნა, სადაც განხილულია აღნიშნული მნიშვნელოვანი განუსაზღვრელობა, ხოლო თუკი ფინანსურ ანგარიშგებაში აღნიშნული განუსაზღვრელობის არსებობა არ არის ადეკვატურად აღწერილი, მაშინ მოგვეთხოვება აუდიტორული დასკვნის მოდიფიცირება. ჩვენი მოსაზრებები დაფუძნებულია ჩვენს მიერ აუდიტორული დასკვნის ხელმოწერის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე. თუმცა მომავალში შესაძლოა მოხდეს ისეთი მოვლენები, რომლებსაც გავლენა ექნებათ კომპანიის ფუნქციონირების გაგრძელების შესაძლებლობაზე.
- განვიხილავთ ფინანსური ანგარიშის მთლიან სტრუქტურას, რომელიც მოიცავს წარდგენებს შენიშვნებს იმაზე, თუ რამდენად სამართლიანად არის ასახული მასში ტრანზაქციები და მოვლენები. მმართველობითი უფლებამოსილებით აღჭურვილ პირებთან აუდიტის პროცესში გვქონდა კომუნიკაცია აუდიტის მასშტაბის, აუდიტის გეგმის და აუდიტის სხვა მნიშვნელოვან საკითხებზე, მათ შორის შიდა კონტროლის სისტემაში აუდიტის პროცესში გამოვლენილ მნიშვნელოვან სისუსტეებზე. სხვა საკითხების განხილვა მენეჯმენტთან არ მომხდარა.

მმართველობითი უფლებამოსილებით აღჭურვილ პირებთან აუდიტის პროცესში გვქონდა კომუნიკაცია აუდიტის მასშტაბის, აუდიტის გეგმის და აუდიტის სხვა მნიშვნელოვან საკითხებზე, მათ შორის შიდა კონტროლის სისტემაში აუდიტის პროცესში გამოვლენილ მნიშვნელოვან სისუსტეებზე.

აუდიტის შემოწმების ხელმძღვანელი, რომელმაც შეადგინა წინამდებარე დამოუკიდებელი აუდიტორის პირობითი დასკვნა არის დავით გვეტაძე.

სს ფი-ქეი-ეფ კაიზენი
27 ივნისი, 2022
თბილისი, საქართველო



შპს სანტე ჯი ემ თი პროდუქტები
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
საანგარიშგებო ვალუტა ლარი

	შენიშვნა	31.12.2021	31.12.2020
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივი			
ძირითადი საშუალებები	3	72 029 199	70 871 143
არამატერიალური აქტივები		77 734	137 692
აქტივის გამოყენების უფლება		316 709	-
სულ გრძელვადიან აქტივები		72 423 641	71 008 835
მიმდინარე აქტივები			
მოთხოვნები პერსონალის მიმართ		3 364	7 439
სასაქონლო-მატერიალური მარაგები	4	13 731 667	15 001 262
გადახდილი ავანსები	5	1 093 988	1 786 266
სავაჭრო მოთხოვნები	5	8 807 755	7 204 264
ფული და ფულის ექვივალენტები	6	22 027 568	12 320 351
სულ მიმდინარე აქტივები		45 664 343	36 319 582
სულ აქტივები		118 087 984	107 328 417
კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი		45 858 085	45 858 085
რეზერვები და დაფინანსება		45 842 596	46 401 340
გაუნაწილებელი მოგება		2 404 428	(1 716 753)
სულ კაპიტალი		94 105 109	90 542 672
ვალდებულებები			
გრძელვადიანი სესხის მიმდინარე ნაწილი	7	3 812 152	2 501 370
გრძელვადიანი ფინანსური იჯარის ვალდებულება		316 709	-
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		4 128 861	2 501 370
მიმდინარე ვალდებულებები			
სავაჭრო ვალდებულებები	8	18 191 650	13 057 214
მიღებული ავანსები		50 931	53 775
გადასახდელი ხელფასები		869 878	980 367
საგადასახადო ვალდებულება		741 555	193 019
სულ მიმდინარე ვალდებულებები		19 854 015	14 284 375
სულ ვალდებულებები		23 982 875	16 785 745
სულ ვალდებულებები და კაპიტალი		118 087 984	107 328 417

გენერალური დირექტორი

27 ივნისი 2022

თბილისი, საქართველო

შპს სანტე ჯი ემ თი პროდუქტები
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
საანგარიშგებო ვალუტა ლარი

	შენიშვნა	31.12.2021	31.12.2020
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივი			
ძირითადი საშუალებები	3	72 029 199	70 871 143
არამატერიალური აქტივები		77 734	137 692
აქტივის გამოყენების უფლება		316 709	-
სულ გრძელვადიან აქტივები		72 423 641	71 008 835
მიმდინარე აქტივები			
მოთხოვნები პერსონალის მიმართ		3 364	7 439
სასაქონლო-მატერიალური მარაგები	4	13 731 667	15 001 262
გადახდილი ავანსები	5	1 093 988	1 786 266
სავაჭრო მოთხოვნები	5	8 807 755	7 204 264
ფული და ფულის ექვივალენტები	6	22 027 568	12 320 351
სულ მიმდინარე აქტივები		45 664 343	36 319 582
სულ აქტივები		118 087 984	107 328 417
კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი		45 858 085	45 858 085
რეზერვები და დაფინანსება		45 842 596	46 401 340
გაუნაწილებელი მოგება		2 404 428	(1 716 753)
სულ კაპიტალი		94 105 109	90 542 672
ვალდებულებები			
გრძელვადიანი სესხის მიმდინარე ნაწილი	7	3 812 152	2 501 370
გრძელვადიანი ფინანსური იჯარის ვალდებულება		316 709	-
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		4 128 861	2 501 370
მიმდინარე ვალდებულებები			
სავაჭრო ვალდებულებები	8	18 191 650	13 057 214
მიღებული ავანსები		50 931	53 775
გადასახდელი ხელფასები		869 878	980 367
საგადასახადო ვალდებულება		741 555	193 019
სულ მიმდინარე ვალდებულებები		19 854 015	14 284 375
სულ ვალდებულებები		23 982 875	16 785 745
სულ ვალდებულებები და კაპიტალი		118 087 984	107 328 417

გენერალური დირექტორი

27 ივნისი 2022

თბილისი, საქართველო



შპს სანტე ჯი ემ თი პროდუქტები
 სრული შემოსავლის ანგარიშგება
 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
 საანგარიშგებო ვალუტა ლარი
 სრული შემოსავლის ანგარიშგება

<i>მოგება-ზარალის უწყისი</i>	<i>შენიშვნა</i>	31.12.2021	31.12.2020
<i>შემოსავალი რეალიზაციიდან</i>	9	109 607 121	96 177 047
<i>რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება</i>	10	(71 897 234)	(60 936 707)
<i>მთლიანი მოგება</i>		37 709 886	35 240 340
<i>მიწოდების ხარჯი</i>	11	(29 846 273)	(25 179 708)
<i>საოპერაციო ხარჯები</i>	12	(2 738 386)	(2 208 018)
<i>ბელფასის ხარჯი</i>		(2 208 812)	(1 913 215)
<i>ცვეთის ხარჯი</i>		(412 386)	(218 047)
<i>საოპერაციო მოგება</i>		2 504 029	5 721 352
<i>არასაოპერაციო შემოსავალი</i>		2 020 703	2 127 001
<i>არასაოპერაციო ზარალი</i>		(460 586)	(1 710 057)
<i>ძირითადი საშუალების რეალიზაციიდან მიღებული შემოსავალი</i>		49 084	25 726
<i>საპროცენტო ხარჯი და საკომისიო</i>		(115 919)	(415 928)
<i>მოგება-ზარალი საკურსო სხვაობიდან</i>		123 871	(232 844)
<i>სულ არასაოპერაციო მოგება/ზარალი</i>		1 617 153	(206 102)
<i>მოგება დაბერგვრამდე</i>		4 121 182	5 515 250
<i>მოგების გადასახადი</i>		-	-
<i>წმინდა მოგება</i>		4 121 182	5 515 250
<i>ძირითადი საშუალების რეზერვების შემცირება</i>		(558 745)	(69 423)
<i>სულ სრული შემოსავალი</i>		3 562 437	5 445 827

გენერალური დირექტორი

27 ივნისი 2022

თბილისი, საქართველო

შპს სანტე ჯი ემ თი პროდუქტები
 სრული შემოსავლის ანგარიშგება
 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
 საანგარიშგებო ვალუტა ლარი
 სრული შემოსავლის ანგარიშგება

მოგება-ზარალის უწყისი	შენიშვნა	31.12.2021	31.12.2020
შემოსავალი რეალიზაციიდან	9	109 607 121	96 177 047
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	10	(71 897 234)	(60 936 707)
მთლიანი მოგება		37 709 886	35 240 340
მიწოდების ხარჯი	11	(29 846 273)	(25 179 708)
საოპერაციო ხარჯები	12	(2 738 386)	(2 208 018)
ხელფასის ხარჯი		(2 208 812)	(1 913 215)
ცვეთის ხარჯი		(412 386)	(218 047)
საოპერაციო მოგება		2 504 029	5 721 352
არასაოპერაციო შემოსავალი		2 020 703	2 127 001
არასაოპერაციო ზარალი		(460 586)	(1 710 057)
ძირითადი საშუალების რეალიზაციიდან მიღებული შემოსავალი		49 084	25 726
საპროცენტო ხარჯი და საკომისიო		(115 919)	(415 928)
მოგება-ზარალი საკურსო სხვაობიდან		123 871	(232 844)
სულ არასაოპერაციო მოგება/ზარალი		1 617 153	(206 102)
მოგება დაზღვრვამდე		4 121 182	5 515 250
მოგების გადასახადი		-	-
წმინდა მოგება		4 121 182	5 515 250
ძირითადი საშუალების რეზერვების შემცირება		(558 745)	(69 423)
სულ სრული შემოსავალი		3 562 437	5 445 827

გენერალური დირექტორი

27 ივნისი 2022

თბილისი, საქართველო



შპს სანტე ჯი ემ თი პროდუქტები
 კაპიტალში მომხდარი ცვლილებების ანგარიშგება
 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
 საანგარიშგებო ვალუტა ლარი

კაპიტალში მომხდარი ცვლილებების ანგარიშგება

	საწესდებო კაპიტალი	რეზერვი	დაუფარავი ზარალი	სულ საკუთარი კაპიტალი
ნაშთი 2019 წლის 31 დეკემბრისათვის	45 858 085	18 095 311	(7 232 003)	56 721 393
გაუნაწილებელი მოგება	-	-	5 445 826	5 445 826
ძირითადი საშუალების რეზერვის შემცირება	-	28 306 028	69 424	28 375 452
ნაშთი 2020 წლის 31 დეკემბრისათვის	45 858 085	46 401 339	(1 716 753)	90 542 671
გაუნაწილებელი მოგება	-	-	4 121 182	4 121 182
ძირითადი საშუალების რეზერვის შემცირება	-	(558 744)	-	(558 744)
ნაშთი 2021 წლის 31 დეკემბრისათვის	45 858 085	45 842 595	2 404 428	94 105 108

გენერალური დირექტორი

27 ივნისი 2022

თბილისი, საქართველო

შპს სანტე ჯი ემ თი პროდუქტები
კაპიტალში მომხდარი ცვლილებების ანგარიშგება
2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
საანგარიშგებო ვალუტა ლარი

კაპიტალში მომხდარი ცვლილებების ანგარიშგება

	საწესდებო კაპიტალი	რეზერვი	დაუფარავი ზარალი	სულ საკუთარი კაპიტალი
ნაშთი 2019 წლის 31 დეკემბრისათვის	45 858 085	18 095 311	(7 232 003)	56 721 393
გაუნაწილებელი მოგება	-	-	5 445 826	5 445 826
ძირითადი საშუალების რეზერვის შემცირება	-	28 306 028	69 424	28 375 452
ნაშთი 2020 წლის 31 დეკემბრისათვის	45 858 085	46 401 339	(1 716 753)	90 542 671
გაუნაწილებელი მოგება	-	-	4 121 182	4 121 182
ძირითადი საშუალების რეზერვის შემცირება	-	(558 744)	-	(558 744)
ნაშთი 2021 წლის 31 დეკემბრისათვის	45 858 085	45 842 595	2 404 428	94 105 108

გენერალური დირექტორი

27 ივნისი 2022

თბილისი, საქართველო



შპს სანტე ჯი ემ თი პროდუქტები
 ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგება
 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
 საანგარიშგებო ვალუტა ლარი
 ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგება

	31.12.2021	31.12.2020
წლის მოგება დაბეგვრამდე	3 562 437	5 445 826
კორექტირება:		
მოგების გადასახადი	81 222	48 228
წმინდა მოგება სავალუტო ოპერაციებზე	(123 871)	232 844
ცვეთის ხარჯი	412 386	985 843
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან საოპერაციო აქტივების და ვალდებულებების ცვლილებებამდე	3 932 174	6 712 741
ცვლილებები სავაჭრო მოთხოვნებში	(1 479 620)	2 077 600
ცვლილებები სასაქონლო-მატერიალურ მარაგებში	1 269 595	(4 097 965)
ცვლილებები გადახდილ ავანსებში	692 278	(899 093)
ცვლილებები მოთხოვნებში პერსონალის მიმართ	4 075	(6 831)
ცვლილებები გადახდილ გადასახადებში	467 313	(743 238)
ცვლილებები მისაღებ პროცენტებში		-
ცვლილებები იჯარის ვალდებულებებში	316 709	
ცვლილებები სავაჭრო ვალდებულებებში	5 134 436	(881 678)
ცვლილებები მიღებულ ავანსებში	(2 844)	25 177
ცვლილებები გადასახდელ ხელფასებში	(110 489)	12 842
სულ ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან	10 223 626	2 199 554
ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან		
ცვლილებები ძირითად საშუალებებში	(1 303 011)	(1 527 241)
აქტივის გამოყენების უფლება	(524 181)	
		-
წმინდა ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან	(1 827 191)	(1 527 241)
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან		
ცვლილებები გრძელვადიან სესხებში	1 310 782	2 500 000
გრძელვადიანი სესხების დაფარვა		(42 045)
სულ ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან	1 310 782	2 457 955
ფულზე და ფულის ექვივალენტებზე საკურსო სხვაობის ეფექტი		1 077 874
ფული და ფულადი ექვივალენტის ნეტო ცვლილება	9 707 217	4 208 143
ფული და ფულადი ექვივალენტის პერიოდის დასაწყისში	12 320 351	8 112 208
ფული და ფულადი ექვივალენტი პერიოდის ბოლოს	22 027 568	12 320 351

გენერალური დირექტორი

27 ივნისი 2022

თბილისი, საქართველო

შპს სანტე ჯი ემ თი პროდუქტები
 ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგება
 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
 საანგარიშგებო ვალუტა ლარი
 ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგება

	31.12.2021	31.12.2020
წლის მოგება დაბეგვრამდე		
კორექტირება:	3 562 437	5 445 826
მოგების გადასახადი	81 222	48 228
წმინდა მოგება სავალუტო ოპერაციებზე	(123 871)	232 844
ცვეთის ხარჯი	412 386	985 843
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან საოპერაციო აქტივების და ვალდებულებების ცვლილებებამდე	3 932 174	6 712 741
ცვლილებები სავაჭრო მოთხოვნებში	(1 479 620)	2 077 600
ცვლილებები სასაქონლო-მატერიალურ მარაგებში	1 269 595	(4 097 965)
ცვლილებები გადახდილ ავანსებში	692 278	(899 093)
ცვლილებები მოთხოვნებში პერსონალის მიმართ	4 075	(6 831)
ცვლილებები გადახდილ გადასახადებში	467 313	(743 238)
ცვლილებები მისაღებ პროცენტებში		-
ცვლილებები იჯარის ვალდებულებებში	316 709	
ცვლილებები სავაჭრო ვალდებულებებში	5 134 436	(881 678)
ცვლილებები მიღებულ ავანსებში	(2 844)	25 177
ცვლილებები გადასახდელ ხელფასებში	(110 489)	12 842
სულ ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან	10 223 626	2 199 554
ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან		
ცვლილებები ძირითად საშუალებებში	(1 303 011)	(1 527 241)
აქტივის გამოყენების უფლება	(524 181)	-
წმინდა ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან	(1 827 191)	(1 527 241)
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან		
ცვლილებები გრძელვადიან სესხებში	1 310 782	2 500 000
გრძელვადიანი სესხების დაფარვა		(42 045)
სულ ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან	1 310 782	2 457 955
ფულზე და ფულის ექვივალენტებზე საკურსო სხვაობის ეფექტი		1 077 874
ფული და ფულადი ექვივალენტის ნეტო ცვლილება	9 707 217	4 208 143
ფული და ფულადი ექვივალენტის პერიოდის დასაწყისში	12 320 351	8 112 208
ფული და ფულადი ექვივალენტი პერიოდის ბოლოს	22 027 568	12 320 351

გენერალური დირექტორი
 27 ივნისი 2022
 თბილისი, საქართველო



გვერდი 9/28

შპს სანტე ჯი ემ თი პროდუქტები
ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები
2021 წლის 31 დეკემბრის დასრულებული პერიოდისათვის
საანგარიშგებო ვალუტა ლარი
ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

ძირითადი საქმიანობა

შპს „სანტე ჯი ემ თი პროდუქტები“ (შემდგომში ”ორგანიზაცია”) დაფუძნდა 1998 წლის 20 იანვარს, მარეგისტრირებული ორგანო არის თბილისის ისნის რაიონის სასამართლო, იურიდიული მისამართი: საქართველო, ქ. თბილისის ისანი-სამგორის რაიონი, კახეთის გზატკეცილი, მე-10 კმ. 2020 წლის დასაწყისში კომპანიას ფლობდა ორი არარეზიდენტი იურიდიული პირი: BE 0 443 205 173 ბი.ეს.ეი. ინტერნეიშენალ, ბელგია - 85% და კორპორაცია „სქაივიჟენ ელ თი დი, მარშალის კუნძულები - 15%. 2020 წლის მაისში ბი.ეს.ეი ინტერნეიშენალმა გამოისყიდა 15%-იანი წილი სქაივიჟენისგან და გახდა 100%-იანი წილის მფლობელი

კომპანია არის საქართველოს ბაზარზე არსებული რძის და რძის პროდუქტების მწარმოებელი კომპანია. კომპანია აწარმოებს და საქართველოს მაშტაბით ყიდის მაწონს, რძეს, ხაჭოს, ყველს და სხვა სახის რძის ნაწარმს.

კომპანიის ბენეფიციარი მესაკუთრეები არიან შემდეგი ფიზიკური პირები:

#	სახელი, გვარი	მოქალაქეობა	საცხოვრებელი ადგილი	დაბადების ადგილი და თარიღი	სტატუსი
1	Emmanuel Besnier	საფრანგეთი	საფრანგეთი	საფრანგეთი 18/09/1970	მესაკუთრე
2	Jean-Michel Besnier	საფრანგეთი	საფრანგეთი	საფრანგეთი 1968	მესაკუთრე
3	Marie Besnier Beauvalot	საფრანგეთი	საფრანგეთი	საფრანგეთი 1980	მესაკუთრე

მნიშვნელოვანი ბუღალტრული აღრიცხვის საფუძველი

ორგანიზაციას თანდართული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (“ზასს”) მიერ დამტკიცებული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებისა (“ფასს”) და ფინანსური ანგარიშგების ინტერპრეტაციების საერთაშორისო კომიტეტის (“ფაისკ”) მიერ გამოცემული ინტერპრეტაციების შესაბამისად. ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია, როგორც მოქმედი საწარმო, რაც ითვალისწინებს აქტივების რეალიზაციას და ვალდებულებების დაფარვას ჩვეულებრივი საქმიანობის ფარგლებში. ამ შეფასების გამოყენებისას, მენეჯმენტი გაითვალისწინებს კომპანიის ფინანსური მდგომარეობას, მიმდინარე სასაქონლო-მატერიალური მარაგების, ოპერაციების მომგებიანობას და ფინანსურ რესურსებზე წვდომას, და ფინანსურ ბაზრებზე არსებული მდგომარეობის გავლენის ანალიზს კომპანიის ოპერაციებზე. როგორც ბალანსის შემდგომი მოვლენების შენიშვნაშია განხილული ხელმძღვანელობამ მიმოიხილა კორონა ვირუსის - COVID 19 -ის გავლენა კომპანიის ფუნქციონირებაზე და შეიმუშავა სამოქმედო გეგმა. ამ გეგმაზე დაყრდნობით, ჩვენ მოველით გარკვეული სახის უარყოფით გავლენას საკუთარ საქმიანობაზე, მაგრამ ეს არ შეუქმნის რისკს კომპანიის ფუნქციონირებას. შესაბამისად, ხელმძღვანელობას სჯერა, რომ ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვების გამოყენება საფუძვლიანია.

აღნიშნული ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ქართულ ლარში, თუ სხვა რამ არ არის მითითებული.

ბუღალტრული აღრიცხვის ძირითადი პოლიტიკა

ქვემოთ წარმოდგენილია სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები, რომელიც გამოყენებულია წინამდებარე ცალკეული ფინანსური ანგარიშგებების მომზადებაში. აღნიშნული პოლიტიკის გამოყენება მოხდა თანმიმდევრულად ყველა წარდგენილ პერიოდზე, თუ სხვა რამ არ არის მითითებული.

წარმოდგენილი ანგარიშის ვალუტა

კომპანიის ფუნქციონალურ ვალუტას წარმოადგენს საქართველოს ეროვნული ვალუტა - ქართული ლარი (GEL). ოპერაციები უცხოურ ვალუტაში, თავდაპირველად ჩაიწერება ფუნქციონალურ ვალუტაში ოპერაციის დღისთვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ განსაზღვრული კურსით. ანგარიშის პერიოდისთვის უცხოურ ვალუტაში არსებული ფულადი აქტივები გადაიყვანება ფუნქციონალურ ვალუტაში საქართველოს

შპს სანტე ჯი ემ თი პროდუქტები
ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები
2021 წლის 31 დეკემბრის დასრულებული პერიოდისათვის
საანგარიშგებო ვალუტა ლარი

ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი წლის ბოლოს არსებული კურსით. ანგარიშსწორებისას წარმოქმნილი ყველა საკურსო სხვაობა აისახება მოგება-ზარალზე.

უცხოური ვალუტის მონეტარული ნაშთების კონვერტირებისათვის გამოყენებული გაცვლითი კურსები არის შემდეგი:

	31 დეკ 2021	31 დეკ 2020
1 USD/GEL	3,0976	3,2766
1 EUR/GEL	3,5040	4,0233

ფული და ფულის ექვივალენტები

ფული და ფულის ექვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულს და ფულს ბანკში და ატარებს ღირებულების ცვლილების უმნიშვნელო რისკს. ფულადი საშუალებები აღირიცხება ამორტიზირებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით. შეზღუდული ნაშთები გამოირიცხება ფულადი საშუალებებისგან ფულადი ნაკადების ანგარიშგების მიზნებისთვის. შეზღუდული ნაშთები რომელთა გამოყენება არ შეიძლება 12 თვის განმავლობაში ვალდებულებების დასაფარად ან სხვა გაცვლითი ტრანზაქციებში გამოყენებისაგან აღიარდება ბალანსზე როგორც სხვა გრძელვადიანი აქტივები.

ფინანსური აქტივების კლასიფიკაცია

ფინანსური აქტივების კლასიფიკაციით, საწყისი აღიარებისას, დგინდება მათი შემდგომი შეფასება ამორტიზებული ღირებულებით. საწყისი აღიარებისას ფინანსური აქტივების კლასიფიკაცია დამოკიდებულია ფინანსური აქტივის კონტრაქტის მიხედვით მისაღები ფულადი ნაკადების მახასიათებლებსა და მათი მართვის ბიზნეს-მოდელზე. კომპანია ფინანსურ აქტივებს ამორტიზებული ღირებულებით აფასებს, თუ დაკმაყოფილდა შემდეგი ორი პირობა:

- ფინანსურ აქტივს კომპანია ფლობს ისეთი ბიზნეს-მოდელით, რომლის ამოცანა არის ფინანსური აქტივების ფლობა მათგან ფულადი ნაკადების მიღების მიზნით; და
- ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო პირობები კონკრეტულ თარიღებში წარმოშობს ფულად ნაკადებს, რომლებიც წარმოადგენს „მხოლოდ ძირი თანხისა და მის დასაფარ ნაწილზე გადასახდელ საპროცენტო გადახდებს (SPPI)“. ამ შეფასებას SPPI ტესტი ეწოდება და ის ინსტრუმენტის დონეზე ხორციელდება.

ფინანსური აქტივები – რეკლასიფიკაცია.

ფინანსური აქტივები მხოლოდ მაშინ რეკლასიფიცირდება, როდესაც პორტფელის მართვის ბიზნეს-მოდელი მთლიანად იცვლება. რეკლასიფიკაციას პერსპექტიული გავლენა აქვს და ტარდება ბიზნეს-მოდელის შეცვლიდან პირველი საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისიდან.

ფინანსური აქტივების გაუფასურება – საკრედიტო ზარალის ანარიცხი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალისთვის (ECL).

კომპანია ფლობს ერთი ტიპის ფინანსურ აქტივის, რომელთათვისაც გამოიყენება მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის მოდელი -სავაჭრო და სხვა მოთხოვნები. კომპანია იყენებს ფასს 9-ის გამარტივებულ მეთოდს რათა გაზომოს მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი, რომელიც თავის მხრივ იყენებს სრული ვადის განმავლობაში მოსალოდნელ ზარალის ანარიცხს ყველა სავაჭრო მოთხოვნისთვის. მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის განსაზღვრისთვის, სავაჭრო მოთხოვნები დაჯგუფებულია საერთო საკრედიტო რისკის მახასიათებლებითა და ვადაგადაცილებული დღეების მიხედვით. შენიშვნაში მოცემულია ინფორმაცია მონაცემებზე, შეფასებებსა და განსჯის მეთოდებზე, რომელიც გამოყენებულ იქნა მოსალოდნელი საკრედიტო ზარალისთვის.

ფინანსური აქტივების აღიარების გაუქმება.

კომპანია ფინანსური აქტივის აღიარებას აუქმებს მაშინ, როცა: (ა) აქტივები გადახდილია ან უფლებები აღნიშნული აქტივებიდან მისაღებ ფულად ნაკადებზე სხვაგვარად ამოიწურა ან (ბ) კომპანიამ გადასცა

შპს სანტე ჯი ემ თი პროდუქტები
ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები
2021 წლის 31 დეკემბრის დასრულებული პერიოდისათვის
საანგარიშგებო ვალუტა ლარი

უფლებები ფინანსური აქტივებიდან მისაღებ ფულად ნაკადებზე ან გააფორმა კვალიფიციური გადაცემის ხელშეკრულება და ამასთან ერთად (i) განახორციელა აქტივების საკუთრებასა და კონტროლთან დაკავშირებული არსებითად ყველა რისკის და ჯილდოს გადაცემა ან (ii) საკუთრებასა და კონტროლთან დაკავშირებული არსებითად ყველა რისკი და ჯილდო არც გადაუცია, არც შეუნარჩუნებია, მაგრამ კონტროლი არ შეუნარჩუნებია. კონტროლის შენარჩუნება ხდება, თუ კონტრაგენტს არ აქვს გაყიდვაზე შეზღუდვების დაწესების გარეშე არადაკავშირებულ მესამე მხარისთვის აქტივის მთლიანად მიყიდვის პრაქტიკული უნარი.

ფინანსური ვალდებულებების კლასიფიკაცია.

კომპანიის ყველა ფინანსური ვალდებულება კლასიფიცირდება როგორც სხვა ფინანსური ვალდებულებები და აღირიცხება ამორტიზირებული ღირებულებით.

ფინანსური ინსტრუმენტების თავდაპირველი აღიარება.

ფინანსური აქტივები და ვალდებულებები თავდაპირველად აღირიცხება რეალური ღირებულებისა და საოპერაციო ხარჯების ჯამით. თავდაპირველი აღიარებისას რეალური ღირებულების საუკეთესო მტკიცებულებაა გარიგების ფასი. მოგება ან ზარალი თავდაპირველ აღიარებისას აღირიცხება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ სამართლიან ღირებულებასა და გარიგების ფასს შორის არსებობს სხვაობა, რომლის დამტკიცება შესაძლებელია იმავე ინსტრუმენტში სხვა დაკვირვებადი მიმდინარე საბაზრო გარიგებების საფუძველზე ან ისეთი შეფასების მეთოდით, რომლის მონაცემებიც მოიცავს მხოლოდ დაკვირვებადი ბაზრების მაჩვენებლებს.

ფინანსური ვალდებულებების აღიარების გაუქმება.

კომპანია ფინანსური ვალდებულების აღიარებას აუქმებს მაშინ, როცა ვალდებულება დაიფარება ან გაუქმდება ან ვადა გასდის. როდესაც არსებულ ფინანსურ ვალდებულებას ანაცვლებს იმავე გამსესხებლის სხვა ფინანსური ვალდებულება არსებითად შეცვლილი პირობებით, ან არსებული ვალდებულების პირობები დიდწილად იცვლება, ამგვარი ჩანაცვლება ან მოდიფიცირება განიხილება როგორც თავდაპირველი ვალდებულების აღიარების შეწყვეტა და ახალი ვალდებულების აღიარება. სხვაობა საბალანსო ღირებულებებს შორის აღიარდება მოგების ან ზარალის ანგარიშგებაში.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

სავაჭრო მოთხოვნები ძირითადად შედგება იმ მიუღებელი თანხებისგან, რომელზეც კომპანიამ გაუწია დამკვეთს გარკვეული სახის მომსახურება აღიარა შემოსავლად მაგრამ არ მიუღია შესაბამისი ანაზღაურება. საანგარიშო პერიოდის ბოლოს კომპანიის ბალანსზე არ არის იდენტიფიცირებული უიმედო ვალები და მიმდინარე მოთხოვნების ვადაგადაცილებული დავალიანება რადგან ისინი ჩამოწერილია კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაში შესაბამისად და მიმდინარე მოთხოვნები ასახულია რეალური ღირებულებით.

კომპანიის მენეჯმენტი ახორციელებს პერიოდის ბოლოს არსებული ვალდებულებების ანალიზს და მის დარეზერვებას.

სესხები

სესხები თავდაპირველად აღიარდება რეალური ღირებულებით, გამოვლენილი სესხთან დაკავშირებული გაცემის ხარჯებით. სხვაობა სამართლიან ღირებულებასა და ნომინალურ ღირებულებას შორის აღიარდება მოგებაში ან ზარალში, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც სესხი აღებულია დამფუძნებლებისგან. ასეთ შემთხვევაში, ეს სხვაობა აისახება კაპიტალში, როგორც დამატებითი კაპიტალი. თავდაპირველი აღიარების შემდეგ, სესხები აისახება ამორტიზებული ღირებულებით ხოლო სხვაობა თვითღირებულებასა და გამოსყიდვის ღირებულებას შორის აისახება მოგებაში ან ზარალში, სესხების პერიოდის განმავლობაში ეფექტური საპროცენტო განაკვეთის საფუძველზე. პროცენტები და სხვა ხარჯები, რომლებიც გაწეულია სესხებზე, მიეკუთვნება ფინანსურ ხარჯებს, გარდა იმ სესხის ხარჯებისა, რომლებიც პირდაპირ უკავშირდება შესყიდვებს, მშენებლობას, ან განსაკუთრებული აქტივის შექმნას. ასეთი ხარჯები პირდაპირ აქტივის თვითღირებულებაზე კაპიტალიზირდება.

სასაქონლო-მატერიალური მარაგები

შპს სანტე ჯი ემ თი პროდუქტები
ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები
2021 წლის 31 დეკემბრის დასრულებული პერიოდისათვის
საანგარიშგებო ვალუტა ლარი

სასაქონლო-მატერიალური მარაგების ღირებულება მოიცავს უშუალოდ მარაგების და შესაბამის შემთხვევებში უშუალოდ იმ ზედნადებ ხარჯებს, რომლებიც გაწეული იქნა სასაქონლო-მატერიალური მარაგების მათ თავდაპირველ მდგომარეობაში მოსაყვანად. სასაქონლო-მატერიალური მარაგების ღირებულება გამოითვლება საშუალო შეწონილი ღირებულების მეთოდით.

პერიოდის ბოლოს ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული მზა პროდუქცია წარმოადგენს მალეფუჭებად პროდუქტს და მენეჯმენტს შექმნილი აქვს შესაბამისი რეზერვები, რომლითაც შემცირებულია პერიოდის ბოლოს ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული ღირებულებები.

დამატებითი ღირებულების გადასახადი

გაყიდულ პროდუქციაზე თუ მომსახურებაზე დარიცხული დამატებითი ღირებულების გადასახადი საგადასახადო ორგანოებისათვის გადახდას ექვემდებარება პროდუქციისა თუ მომსახურების კლიენტებისთვის მიწოდებისთანავე. შეძენილ პროდუქციაზე თუ მომსახურებაზე დარიცხული დღგ-ის დაბრუნება ჩვეულებრივ შესაძლებელია გაყიდულ პროდუქციაზე თუ მომსახურებაზე დარიცხული დღგ-ის ხარჯზე დღგ-ის ანგარიშგაქტურის მიღებისთანავე. მენეჯმენტი ახორციელებს პერიოდის გადასახადებზე დეკლარაციების მომზადებას და წარდგენას კანონმდებლობის მოთხოვნების შესაბამისად.

ძირითადი საშუალებები

ბალანსზე აღრიცხული უძრავი ქონება მოცემულია რეალური ღირებულებით, რომელიც შეფასებულია დამოუკიდებელი მხარის მიერ 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით. ბალანსზე რიცხული სხვა ძირითადი საშუალებები მოცემულია ისტორიული ღირებულებით, რომელიც მოიცავს აღნიშნული აქტივების ღირებულებას და იმ ზედნადებ დანახარჯებს, რომელიც გაწეული იყო მათ საექსპლუატაციოდ.

თითოეული საანგარიშო პერიოდის ბოლოს ხელმძღვანელობა აფასებს, ხომ არ არსებობს ქონების, მოწყობილობებისა და აღჭურვილობის გაუფასურების რაიმე ნიშანი. თუ ასეთი ნიშანი არსებობს, ხელმძღვანელობა გაიანგარიშებს მისაღებ თანხას, რომელიც განისაზღვრება, როგორც შემდეგი ორიდან უფრო მაღალი ღირებულება: აქტივის რეალური ღირებულება სარეალიზაციო ხარჯების გამოკლებით, და აქტივის გამოყენების ღირებულება. საბალანსო ღირებულება მცირდება ამოღებად ღირებულებამდე და გაუფასურების ზარალის აღიარება ხდება წლის მოგება-ზარალში. წინა წლებში აღიარებული აქტივის გაუფასურების ზარალის შებრუნება (რევერსირება) ხდება იმ შემთხვევაში, თუ მოცემული აქტივის სამომხმარებლო ღირებულების ან რეალური ღირებულების (რეალიზაციის ხარჯის გამოკლებით) გაანგარიშებისას გამოყენებულ მონაცემებში შემდგომში ცვლილება მოხდა.

პერიოდის ცვეთის ხარჯი

მიწასა და მიმდინარე მშენებლობას ამორტიზაცია არ ერიცხება. ქონების, მოწყობილობებისა და აღჭურვილობის სხვა საგნებზე ამორტიზაცია გამოითვლება წრფივი მეთოდის გამოყენებით, ქვემოთ მოცემული საექსპლუატაციო პერიოდის შესაბამისად

- შენობა-ნაგებობები - 15 წელი
- მანქანა დანადგარები - 5-20 წელი
- ავეჯი და ინვენტარი - 5 წელი
- ოფისის აღჭურვილობა - 5 წელი
- სატრანსპორტო საშუალებები - 5 წელი

არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივი არის ფიზიკური ფორმის არმქონე, იდენტიფიცირებადი არაფულადი აქტივი. არამატერიალური აქტივები ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარდება აქტივად მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მოსალოდნელია, რომ ა) მომავალში ამ აქტივის მეშვეობით ორგანიზაცია მიიღებს ეკონომიკურ სარგებელს და

ბ) შესაძლებელია ამ აქტივის ღირებულების სარწმუნო (რეალური) შეფასება. თავდაპირველი აღიარების შემდეგ არამატერიალური აქტივები აღირიცხება დაგროვილი ამორტიზაციით და ნებისმიერი გაუფასურების ზარალით შემცირებული ღირებულებით.

გადახდილი ავანსები

გადახდილი ავანსები აღირიცხება თვითღირებულებით. გადახდილი ავანსი არამიმდინარედ აისახება, როცა გადახდილ ავანსთან დაკავშირებული საქონლის ან მომსახურების მიღება მოსალოდნელია ერთი წლის ვადაში ან როცა გადახდილი ავანსი დაკავშირებულია იმ აქტივთან, რომელიც თავდაპირველი აღიარებისას არამიმდინარედ იქნება კლასიფიცირებული. აქტივების შესაძენად გადახდილი ავანსები აქტივის საბალანსო ღირებულებაში გადადის, როგორც კი კომპანია ამ აქტივზე ამყარებს კონტროლს და არსებობს იმის ალბათობა, რომ კომპანია მიიღებს ამ აქტივთან დაკავშირებულ მომავალ ეკონომიკურ სარგებელს.

სხვა გადახდილი ავანსები მოგება-ზარალში ჩამოიწერება გადახდილ ავანსთან დაკავშირებული საქონლის ან მომსახურების მიღებისას. თუ არსებობს იმის ნიშნები, რომ გადახდილ ავანსთან დაკავშირებული საქონლის ან მომსახურების მიღება შეიძლება არ მოხდეს, გადახდილი ავანსის საბალანსო ღირებულება შესაბამისად ჩამოიწერება და შესაბამისი გაუფასურების ზარალი აისახება წლის მოგება-ზარალში.

სავაჭრო ვალდებულებები და სხვა ვალდებულებები

სავაჭრო დავალიანება წარმოადგენს კომპანიის ვალდებულებას, რომელიც წარმოიქმნება ყოველდღიური საქმიანობის პირობებში მოწოდებული საქონლის ან მომსახურების შესაბამისად. ვალდებულებები ფინანსურ ანგარიშგებაში აისახება თვითღირებულებით, რაც წარმოადგენს მიღებული საქონლისა და მომსახურებისთვის მომავალში გადასახდელ საკომპენსაციო თანხას.

საწესდებო კაპიტალი

კომპანიის უფლებამოსილი საწესდებო კაპიტალი განისაზღვრება კომპანიის წესების მიერ. ცვლილებები კომპანიის წესდებაში (საწესდებო კაპიტალში, მფლობელობაში და სხვა ცვლილებების ჩათვლით) იქნება განხორციელებული მხოლოდ კომპანიის მფლობელების გადაწყვეტილებაზე დაყრდნობით. უფლებამოსილი კაპიტალი აღიარდება როგორც საწესდებო კაპიტალი კომპანიის კაპიტალში იმ ზომით, რომლის მიხედვითაც ის გადანაწილდა კომპანიაზე მფლობელების მიერ. ყველა ფულადი ან მატერიალური კონტრიბუციები (წილი), რომელიც განხორციელდა კომპანიის მფლობელების მიერ და განსაზღვრული იყო კომპანიის საწესდებო კაპიტალის გასაზრდელად მაგრამ არ იყო ასახული კომპანიის წესდებაში ანგარიშგების პერიოდის ბოლოსთვის, არის აღიარებული როგორც გადახდილი კაპიტალი საწესდებო კაპიტალში.

შემოსავალი

შემოსავლის აღიარება ხორციელდება დამატებითი ღირებულების გადასახადის გარეშე. შემოსავლების გაანგარიშება ხორციელდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით. შემოსავალი იზომება მიღებული ანაზღაურების ან მოთხოვნის რეალური ღირებულებით და მცირდება მოსალოდნელი ფასდათმობისა და სხვა მსგავსი შეღავათების საფუძველზე.

ხარჯები

ორგანიზაცია ხარჯების აღირიცხვას აწარმოებს დარიცხვის მეთოდით. ხარჯების აღიარება ხდება იმ მომენტში როდესაც ორგანიზაციას წარმოექმნება გადახდის ვალდებულება მიღებული მომსახურების ან საქონლის სანაცვლოდ. საანგარიშო პერიოდში გაწეული ხარჯების ძირითადი ნაწილი მოიცავს თვითღირებულების ხარჯებს, რომელიც შედგება რეალიზებული საქონლის ღირებულებისა და მის წარმოებაზე გაწეული დანახარჯებისგან.

პერიოდის მიწოდების ხარჯის არსებითი ნაწილი მოიცავს ამ პროდუქციის რეალიზაციაზე ხელფასის, საწვავის, იჯარის და სხვადასხვა კომერციულ მომსახურებაზე გაწეულ დანახარჯებს.

შპს სანტე ჯი ემ თი პროდუქტები
ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები
2021 წლის 31 დეკემბრის დასრულებული პერიოდისათვის
საანგარიშგებო ვალუტა ლარი

ხელფასის, სარგოს, ანაზღაურებადი შვებულებისა და ბიულეტენის, ბონუსებისა და არაფულადი სარგებელის დარიცხვა ხორციელდება იმ წლის განმავლობაში, როდესაც გაწეულ იქნა დაკავშირებული მომსახურება კომპანიის თანამშრომლების მიერ.

უიმედო ვალების რეზერვი

კომპანია, კლიენტების გადახდისუუნარობით გამოწვეული სავარაუდო დანაკარგების აღსარიცხად, ქმნის რეზერვს. მისი საკმარისობის შეფასებისას ხელმძღვანელობა ითვალისწინებს მიმდინარე ზოგად ეკონომიკურ პირობებს, სავაჭრო მოთხოვნების ნაშთების ვადიანობას, ჩამოწერის ისტორიულ გამოცდილებას, კლიენტის კრედიტსაიმედოობასა და გადახდის პირობების ცვლილებას. ეკონომიკის, დარგის თუ კლიენტის მდგომარეობის ცვლილებამ შეიძლება მოითხოვოს უიმედო ვალების რეზერვის მოდიფიცირება.

ახალი ფას-ების მიღება ან ცვლილებები სტანდარტებსა და ინტერპრეტაციებში

კომპანიამ ამ ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას გამოიყენა ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარტების საერთაშორისო საბჭოს და ფინანსური ანგარიშგების ინტერპრეტირების საერთაშორისო კომიტეტის მიერ გამოშვებული ყველა ის ახალი ან გადახდილი ფასს და ფასს-ის ინტერპრეტაცია, რომელიც გამოსაყენებლად სავალდებულოა 2019 წლის 1 იანვრის დაწყებული საანგარიშგებო პერიოდებისათვის.

ამ ცვლილებების გავლენა და ბუნება განხილულია ქვემოთ.

ახალი და გადახდილი სტანდარტები და ინტერპრეტაციები, რომლებიც ეფექტურია 2019 წლის 1 იანვრიდან

ცვლილებები ფასს 9-ში: წინასწარგადახდის პირობებთან უარყოფითი კომპენსაციით

ფასს 9-ის თანახმად სავალდებულო ინსტრუმენტი შეიძლება შეფასდეს ამორტიზებული ღირებულებით ან რეალური ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში, თუკი საკონტრაქტო ფულადი ნაკადები არის „მხოლოდ ძირითადი თანხისა და ძირითადი თანხის დარჩენილ ნაშთზე დარიცხული პროცენტის გადახდები“ (SPPI კრიტერიუმში) და ინსტრუმენტის მფლობელი, ამ კლასიფიკაციით, შესაბამისი ბიზნეს მოდელია. ცვლილებები ფასს 9-ში განმარტავს, რომ ფინანსური აქტივი აკმაყოფილებს SPPI კრიტერიუმს, მიუხედავად მოვლენის ან გარემოებისა, რომელიც იწვევს ხელშეკრულების ვადაზე ადრე შეწყვეტას, და მხარისა, რომელიც იხდის ან იღებს გონივრულ ანაზღაურებას ხელშეკრულების ვადაზე ადრე შეწყვეტისათვის.

ფასს 16 იჯარა

ფასს 16 იჯარა ანაცვლებს ბასს 17 იჯარას, სამ ინტერპრეტაციასთან ერთად (ფასიკ 4 „როგორ განვსაზღვროთ, შეიცავს თუ არა შეთანხმება იჯარას“, იმკ 15 „საოპერაციო იჯარა - სტიმულირება“ და იმკ 27 „გარიგებების შინაარსის შეფასება, რომელიც შეიცავს იჯარის სამართლებრივ ფორმას“). ახალი სტანდარტის მიღებამ კომპანიაში გამოიწვია აქტივის გამოყენების უფლების და მასთან დაკავშირებული საიჯარო ვალდებულების აღიარება ყველა წინანდელ საოპერაციო იჯარასთან მიმართებაში, გარდა იმ იჯარებისა, რომელთაც აქვთ დაბალი ღირებულება, ან 12 თვეზე ნაკლები ნარჩენი ღირებულება იჯარის წამოწყების თარიღისთვის.

ფასიკ 23 მოგების გადასახადის გამოთვლის მიდგომებთან დაკავშირებული გაურკვევლობა

ფასიკ 23 იძლევა მითითებებს იმის შესახებ, თუ როგორ უნდა აისახოს, ბასს 12-ით გათვალისწინებული, მოგების გადასახადის აღრიცხვასთან დაკავშირებული გაურკვევლობა, კერძოდ: (I) იხილავს თუ არასაწარმო მოგების გადასახადის გამოთვლასთან დაკავშირებულ საგადასახადო მიდგომებს ცალ-ცალკე; (II) საწარმოს დაშვებები საგადასახადო ორგანოს მიერ საგადასახადო შემოწმების ჩატარებასთან დაკავშირებით; (III) დასაბეგრი მოგების (საგადასახადო ზარალის), საგადასახადო ზაზის, გამოუყენებელი საგადასახადო ზარალის, გამოუყენებელი საგადასახადო კრედიტებისა და საგადასახადო განაკვეთების განსაზღვრა; და (IV) ფაქტებსა და გარემოებებში მომხდარი ცვლილებებს ეფექტი.

საანგარიშო პერიოდში ძალაში შესული ახალი სტანდარტები და ინტერპრეტაციები გავლენას არ ახდენს წარდგენილ ფინანსურ ანგარიშგებაზე.

შპს სანტე ჯი ემ თი პროდუქტები
ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები
2021 წლის 31 დეკემბრის დასრულებული პერიოდისათვის
საანგარიშგებო ვალუტა ლარი

ახალმა და შეცვლილმა სტანდარტებმა, რომლებიც ბასსკ-მა გამოუშვა და გამოყენებულ იქნება შემდგომი წლის ანგარიშგებაში, არაა მოსალოდნელი, რომ გავლენა იქონიონ კომპანიაზე რამდენადაც ისინი ან არ არის რელევანტური კომპანიის საქმიანობისთვის ან ისეთ აღრიცხვას საჭიროებენ, რომელიც თანხვედრაშია კომპანიის მიმდინარე სააღრიცხვო პოლიტიკასთან.

სტანდარტები, არსებული სტანსარტების ცვლილებები და ინტერპრეტაციები, რომლებიც ჯერ არ შესულა ძალაში და რომლებიც ჯერ არ არის გამოყენებული კომპანიის მიერ

სტანდარტები, არსებული სტანსარტების ცვლილებები და ინტერპრეტაციები, რომლებიც ჯერ არ შესულა ძალაში და რომლებიც ჯერ არ არის გამოყენებული კომპანიის მიერ ფინანსური ანგარიშგების დამტკიცების დღისათვის, ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს ("ბასსს") მიერ გამოქვეყნებულია რამდენიმე ახალი სტანდარტი, არსებული სტანდარტების ცვლილებები და ინტერპრეტაციები, მაგრამ ჯერ არ არის ძალაში შესული და კომპანიას ვადაზე ადრე არ გამოუყენებია.

ხელმძღვანელობა მოელის, რომ ყველა შესაფერისი სტანდარტი, განახლება თუ ინტერპრეტაცია მიღებული იქნება კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკაში მათი ძალაში შესვლისთანავე.

შენიშვნა 3-ძირითადი საშუალებები

საწყისი ღირებულება	მიწა	შენიშვნა- ნაგებობი	დანადგარები	სატრანსპორტო საშუალებები	ინვენტარი	ინფორმაციული ტექნოლოგიები	დაუმონტაჟებელი ძირითადი საშუალებები	სულ
ბალანსი 31/12/2019	11 602 089	12 061 500	16 280 944	1 523 076	(7 136)	153 405	280 357	41 894 235
დანამატები	22 124 000	6 864 303	920 949	7 898	69 536	81 579	6 063 341	36 131 606
აქტივების ჩამოწერა	-	(190 992)	(649 892)	(145 106)	(1 590)	(37 383)	(2 702 213)	(3 727 176)
ცვეთა პერიოდისათვის	-	(682 211)	(3 147 458)	(455 479)	(69 964)	(83 736)	-	(4 438 848)
ჩამოწერილი აქტივების ცვეთა	-	190 992	647 550	134 893	877	36 961	-	1 011 273
ბალანსი 31/12/2020	33 726 089	18 243 592	14 052 093	1 065 282	(8 277)	150 826	3 641 485	70 871 090
დანამატები	-	1 262 712	8 543 217	133 175	68 814	108 403	13 586 181	23 702 501
აქტივების ჩამოწერა	-	-	(1 042 232)	(480 892)	-	-	(16 472 557)	(17 995 680)
ცვეთა პერიოდისათვის	-	(715 122)	(3 558 097)	(419 339)	(73 434)	(101 463)	-	(4 867 455)
ჩამოწერილი აქტივების ცვეთა	-	-	563 657	313 776	-	-	-	877 434
ცვეთის კორექტირება	-	(558 744)	-	-	-	-	-	(558 744)
ბალანსი 31/12/2019	11 602 089	12 061 500	16 280 944	1 523 076	(7 136)	153 405	280 357	41 894 235
ბალანსი 31/12/2020	33 726 089	18 243 592	14 052 093	1 065 282	(8 277)	150 826	3 641 485	70 871 090
ბალანსი 31/12/2021	33 726 089	18 232 438	18 558 638	612 002	(12 896)	157 766	755 109	72 029 199

შენიშვნა 4 - სასაქონლო-მატერიალური მარაგები

საანგარიშო პერიოდის ბოლოს კომპანიის ბალანსზე აღრიცხულია სასაქონლო-მატერიალური მარაგები და მასთან დაკავშირებული რეზერვები მოიცავს:

	12/31/2021	31/12/2020
მზა პროდუქცია	1 727 050	1 309 159
საქონელი და ნედლეული	8 712 280	10 012 422
სახარჯი და დამხმარე მასალები	304 479	475 791
მცირეფასიანი ინვენტარი	3 036 701	3 017 190
სხვა მარაგები	2 008 519	2 080 083
რეზერვები	(2 057 362)	(1 893 384)
სულ ნედლეული და მასალები	13 731 667	15 001 262

შენიშვნა 5 - მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან

2021 წლის 31 დეკემბრის და 1 იანვრის მდგომარეობით, სავაჭრო და სხვა მოთხოვნების ბალანსები მოიცავს შემდეგს:

	12/31/2021	31/12/2020
სავაჭრო მოთხოვნები	9 192 799	7 589 308
გადახდილი ავანსები	1 093 988	1 786 266
უიმედო მოთხოვნები	400 375	394 844
მოთხოვნების რეზერვი	(785 419)	(779 888)
სულ მიმდინარე მოთხოვნები	9 901 743	8 990 530

კომპანია აკეთებს სპეციფიკურ ანალიზს თითოეული მოთხოვნის დაფარვიანობაზე, მოთხოვნის ხანდაზმულობის, მომხმარებლის ფინანსური მდგომარეობის, დაფარვიანობის ისტორიის და სხვა ცნობილი ინფორმაციის მიხედვით. კომპანია ქმნის ანარიცხებს სავაჭრო და სხვა მოთხოვნებისთვის, რომლებიც

შპს სანტე ჯი ემ თი პროდუქტები
ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები
2021 წლის 31 დეკემბრის დასრულებული პერიოდისათვის

საანგარიშგებო ვალუტა ლარი

ინდივიდუალურად შეფასებულია, როგორც საექვო. კომპანია იყენებს მოსალოდნელ მომავალ ინფორმაციას შექმნილი ანარიცხების შემდგომ შეფასებასთან დაკავშირებით.

შენიშვნა 6 - ფული და ფულადი ექვივალენტები

პერიოდის ბოლოს კომპანიის ბალანსზე არსებული ფულადი სახსრები და მისი ექვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულს და ეროვნულ და უცხოურ ვალუტას საბანკო ანგარიშებზე.

	31/12/2021	31/12/2020
ნაღდი ფული სალაროში	4 953	19 560
ლარი საბანკო ანგარიშებზე	11 233 243	2 828 080
უცხოური ვალუტა საბანკო ანგარიშებზე	10 789 372	9 472 711
სულ ფული და ფულის ექვივალენტები	22 027 568	12 320 351

შენიშვნა 7 - გრძელვადიანი სესხი და მათი მიმდინარე ნაწილი

პერიოდის ბოლოს ორგანიზაციის ბალანსზე არსებული გრძელვადიანი სასესხო ვალდებულება მოიცავს შეღავათიან აგრო სესხს თიბისი ბანკისგან წლიური 12% განაკვეთით 2022 წლის 13 ნოემბრამდე. მას შედეგ დამატებული აქვს ეროვნული ბანკის მიერ განსაზღვრული რეფინანსირების განაკვეთი 4%, რომელიც არის 2022 წლის 13 ნოემბრის მდგომარეობით. გადასახდელი პროცენტის ნაშთი 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგენს 1,926.03 ლარს. კომპანია ძირის გადახდას იწყებს 2022 წლის 11 იანვრიდან.

გარდა თიბისი ბანკისა, კომპანიას აქვს აგრო სესხი და საკრედიო ხაზი საქართველოს ბანკში. შეღავათიანი აგრო სესხის წლიური საპროცენტო განაკვეთი არის რეფინანსირების განაკვეთს დამატებული 4%, რომელიც 2021 წლის ბოლოსთვის გამოვიდა 14.5%. სესხის ხელშეკრულების დადების თარიღია 25.05.2021, ხოლო ვადა არის 48 თვე. 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კრედიტის ნაშთი არის 295,000 ლარი, ხოლო დარიცხული პროცენტი 226.3 ლარი. რაც შეეხება საქართველოს ბანკის საკრედიტო ხაზს, ხელშეკრულება დადებულია 15 თებერვალს 2011 წელს, რომელიც განახლდა 13 აპრილს 2021 წელს. საპროცენტო განაკვეთი შეადგენს 11%-ს.

	31/12/2021	31/12/2020
BOG აგრო სესხი (GEL)	295 000	-
თი-ბი-სი ბანკის აგრო სესხი	3 515 000	2 500 000
გადასახდელი პროცენტები	2 153	
სულ გრძელვადიანი სესხები	3 812 153	2 500 000

შენიშვნა 8 - სავაჭრო ვალდებულებები

2021 წლის 31 დეკემბრის და 1 იანვრის მდგომარეობით, სავაჭრო ვალდებულებები მოიცავს შემდეგს:

	31/12/2021	31/12/2020
სავაჭრო ვალდებულებები	18 191 650	13 057 212
მიღებული ავანსები	50 931	53 774
სულ სავაჭრო ვალდებულებები	18 242 582	13 110 987

შენიშვნა 9 - შემოსავალი რეალიზაციიდან

შპს სანტე ჯი ემ თი პროდუქტები
ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები
2021 წლის 31 დეკემბრის დასრულებული პერიოდისათვის
საანგარიშგებო ვალუტა ლარი

პერიოდის შემოსავლები მოიცავს რძის პროდუქტის რეალიზაციით მიღებულ შემოსავლებს რომლებიც შემცირებულია პერიოდის ფასდათმობით:

	31/12/2021	31/12/2020
შემოსავალი რეალიზაციიდან	110 441 827	96 656 017
ფასდათმობა	(834 706)	(478 971)
სულ შემოსავალი რეალიზაციიდან	109 607 121	96 177 046

შენიშვნა 10 - თვითღირებულების ხარჯი

თვითღირებულების ხარჯი მოიცავს რეალიზებული პროდუქციის ღირებულებას და მასთან დაკავშირებულ პირდაპირ ხარჯებს:

	31/12/2021	31/12/2020
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	69 064 192	58 617 108
რემონტის ხარჯი	1 794 860	1 614 764
ლაბორატორიის ხარჯები	203 021	147 940
სხვა ხარჯები	835 161	556 895
სულ გაყიდული პროდუქციის თვითღირებულება	71 897 234	60 936 707

შენიშვნა 11 - მიწოდების ხარჯი

	31/12/2021	31/12/2020
მარკეტინგის ხარჯი	2 687 582	0
შრომის ანაზღაურება	9 742 992	8 684 652
იჯარის ხარჯი	1 239 080	194 738
საწვავის ხარჯი	1 385 969	1 037 305
მივლინების ხარჯი	35 547	38 930
დაზღვევის ხარჯი	142 415	132 323
საოფისე ხარჯი	23 384	79 555
კომპიუტერული ხარჯი	0	14 487
ცვეთის ხარჯი	830 081	767 796
საპროცენტო ხარჯი	0	953
კომერციული და სხვა მომსახურების ხარჯები	13 376 743	13 842 112
კომუნალური ხარჯი	295 295	188 429
საგადასახადო ხარჯები	57 562	40 230
სხვა ხარჯები	0	128 624
საკომუნიკაციო ხარჯები	29 622	29 574
სულ მიწოდების ხარჯები	29 846 273	25 179 709

შპს სანტე ჯი ემ თი პროდუქტები
ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები
2021 წლის 31 დეკემბრის დასრულებული პერიოდისათვის
საანგარიშგებო ვალუტა ლარი

შენიშვნა 12 - საოპერაციო ხარჯი	31/12/2021	12/31/2020
საოფისე ხარჯები	38,805	37,573
კომპიუტერული ხარჯები	27,684	9,935
საგადასახადო ხარჯები	231,677	20,217
საკომუნიკაციო ხარჯები	19,448	17,965
კომუნალური ხარჯები	45,163	38,856
დაზღვევის ხარჯები	59,857	57,302
საწვავის ხარჯები	37,044	33,301
საკონსულტაციო და აუდიტის ხარჯები	1,301,587	1,047,331
კადრების გადამზადების ხარჯები	18,033	3,129
იურიდიული და საკონსულტაციო ხარჯები	299,185	318,095
საბანკო ხარჯები	40,450	29,708
მივლინების ხარჯები	10,889	5,294
წარმომადგენლობითი ხარჯები	29,962	17,938
სხვა საერთო ადმინისტრაციული ხარჯები	576,389	555,480
დაცვა და უსაფრთხოება	2,034	2,034
სხვა ხარჯი	180	13,861
სულ ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯები	2,738,386	2,208,018

რისკის მართვა

კომპანიის საქმიანობა დაკავშირებულია სხვადასხვა ფინანსურ რისკთან: ბაზრის რისკი (შემდეგი რისკების ჩათვლით: სავალუტო, საკრედიტო და ლიკვიდობის რისკები). რისკების მართვის პოლიტიკის მიზანია ორგანიზაციის წინაშე არსებული რისკების იდენტიფიცირება, ანალიზი და მართვა, სათანადო რისკების ლიმიტების დაწესება, საკონტროლო მექანიზმების განსაზღვრა და რისკების დონისა და ლიმიტების დაცვის რეგულარული მონიტორინგი. რისკების მართვის პოლიტიკისა და პროცედურების გადახედვა ხდება რეგულარულად, საბაზრო გარემოში მიმდინარე ცვლილებების, შეთავაზებული პროდუქტებისა და მომსახურების და საუკეთესო პრაქტიკის გათვალისწინების მიზნით.

საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი არის რისკი იმისა, რომ ჯგუფმა შესაძლოა განიცადოს ზარალი, თუ მისმა მომხმარებლებმა, კლიენტებმა ან მონაწილე მხარეებმა ვერ შეძლეს სახელშეკრულებო ვალდებულებების შესრულება. კომპანიის ხელმძღვანელობა ახდენს მოთხოვნების საკრედიტო რისკის ანალიზს, რომელიც პერიოდულად გადაიხედება. კომპანია ფინანსური აქტივების გაუფასურების მეთოდოლოგიისთვის იყენებს ფასს 9-ის გამარტივებულ მეთოდს, რათა განსაზღვროს სავაჭრო და სხვა მოთხოვნების არსებობის მანძილზე მოსალოდნელი გაუფასურების დანაკარგი. იმისათვის, რათა განისაზღვროს მოსალოდნელი გაუფასურების დანაკარგი ჯგუფურად, მოთხოვნები დაჯგუფდა მსგავსი საკრედიტო რისკისა და ხანდაზმულობის მიხედვით. სავაჭრო და სხვა მოთხოვნებს აქვს მსგავსი რისკიანობის მახასიათებელი.

ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკი არის რისკი, რომ ორგანიზაციას შეექმნება სირთულეები მიმდინარე ფინანსური ვალდებულებების დაფარვის საკონტრაქტო პირობების შესრულებისას, რამაც შესაძლოა გავლენა მოახდინოს კომპანიის შემდგომ ფუნქციონირებადობაზე. ლიკვიდურობის რისკის მართვა გულისხმობს საკმარისი ფულადი სახსრების და ხელმისაწვდომი საკრედიტო რესურსების ქონას ვალდებულებების დასაფარად.

ამ ტიპის რისკებს ხელმძღვანელობა აკონტროლებს ვადიანობის ანალიზით, მომდევნო ფინანსური პერიოდის სტრატეგიის დაგეგმვისას. ლიკვიდობის რისკის სამართავად კომპანია ყოველდღიურად აკონტროლებს მომავალ მოსალოდნელ ფულად ნაკადებს.

ფულადი ნაკადების პროგნოზირება ხორციელდება კომპანიის საოპერაციო განყოფილების მიერ და აგრეგირდება კომპანიის საფინანსო განყოფილების მიერ. კომპანიის საფინანსო განყოფილება იმ ლიკვიდურობის

შპს სანტე ჯი ემ თი პროდუქტები
 ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები
 2021 წლის 31 დეკემბრის დასრულებული პერიოდისათვის
 საანგარიშგებო ვალუტა ლარი

მოთხოვნის მონიტორინგს ატარებს რომელიც მას ჰირდება რწმუნებისთვის რომ გააჩნია საკმარისი ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობისთვის. საანგარიშო პერიოდის ბოლოს კომპანიის ვალდებულებები მოიცავს მოკლევადიან კრედიტორულ ვალდებულებებს, რომლებთანაც მენეჯმენტის გააჩნია სხვადასხვა ვადიანობის კონსიგნაციის პირობები მაგრამ არც ერთი მათგანი არ არის წარმოქმნილი ერთ წელზე მეტი ვადით.

სავალუტო რისკი

სავალუტო რისკი არის რისკი რომ ცვლილებები სავალუტო კურსებში უარყოფითად შეიძლება აისახოს კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე. კომპანიას აქვს გარკვეული ტრანზაქციები უცხოურ ვალუტაში. კომპანია არ იყენებს დერივატივებს სავალუტო რისკის სამართავად, ამავდროულად კომპანიის მენეჯმენტი ცდილობს რისკების შემცირებას უცხოურ ვალუტაში არსებული ფულადი აქტივების და ვალდებულებების კომპანიის დონეზე მართვით.

ქვემოთ მოცემული ცხრილი წარმოადგენს ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების უცხოური სავალუტო რისკის სტრუქტურას 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

რისკები

	Gel	USD /Gel = 3.0976	EUR/Gel = 3.5040
ფინანსური აქტივები			
გადახდილი ავანსები	1 093 988	-	-
სავაჭრო მოთხოვნები	8 807 755	-	-
ფული და ფულის ექვივალენტები	11 249 196	1 789 749	8 988 623
სულ ფინანსური აქტივები	21 150 939	1 789 749	8 988 623
ფინანსური ვალდებულებები			
სავაჭრო ვალდებულებები	7 686 554	1 813 756	8 691 340
მიღებული ავანსები	50 931	-	-
სულ ფინანსური ვალდებულებები	7 737 485	1 813 756	8 691 340

ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

დაკავშირებული მხარეები ან ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან, როგორც განსაზღვრულია IAS 24 -ით „შენიშვნები დაკავშირებული მხარეების შესახებ“, წარმოადგენს :

- მხარეები, რომლებიც პირდაპირ ან ირიბად, ერთი ან მეტი შუამავალის მეშვეობით: აკონტროლებს ან კონტროლდება, ან არის საერთო კონტროლის ქვეშ დაქვემდებარებული კომპანია (მათ შორის, მშობლები, შვილობილი კომპანიები და თანამზრახველები); ფლობს წილს კომპანიაში, რომელიც აძლევს მნიშვნელოვანი გავლენის შესაძლებლობას და რომელსაც აქვს კომპანიაზე ერთობლივი კონტროლი;
- პარტნიორი საწარმო - საწარმოები, რომლებზეც კომპანიას აქვს მნიშვნელოვანი გავლენა და რომელიც არ არის არც შვილობილი კომპანია და არც ერთობლივ საწარმო.
- ერთობლივი საწარმოები, სადაც კომპანია წარმოადგენს საწარმოს;
- კომპანიის ან მისი მშობლის მმართველი პერსონალი.
- ოჯახის ახლო წევრები, რომელიც ნახსენებია (ა) ან (დ)-ში;

შპს სანტე ჯი ემ თი პროდუქტები
ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები
2021 წლის 31 დეკემბრის დასრულებული პერიოდისათვის
საანგარიშგებო ვალუტა ლარი

(f) მხარე, რომელიც კონტროლდება, ერთობლივად კონტროლდება ან განიცდის მნიშვნელოვან გავლენას, ან რომელზეც მნიშვნელოვანი ხმის უფლება აქვს, პირდაპირ ან ირიბად, (დ) ან (ე)-ში ნახსენებ ინდივიდუალებს.

(გ) დასაქმების შემდგომი შედგავთების სისტემა თანამშრომლებისთვის ან მხარისთვის, რომელიც არის დაკავშირებული კომპანია.

თითოეული დაკავშირებული მხარის განხილვისას, ყურადღება ეთმობა კავშირის არსს და არა მხოლოდ იურიდიულ ფორმას. ორგანიზაციას და მის მეკავშირე კომპანიებს შორის განხორციელებული ტრანზაქციები, რომლებიც ასევე წარმოადგენენ ორგანიზაციის დაკავშირებულ მხარეებს, შემცირებას დაექვემდებარა ამ კომპანიებში ორგანიზაციის წილის ოდენობით.

ჩანაწერებში მოცემულია საანგარიშო პერიოდში იდენტიფიცირებული დაკავშირებული მხარეები და მათთან განხორციელებული ოპერაციები:

Creditor	01.01.2021	მიღებული საქონელი/ მომსახურება	გადახდილი თანხა	01.01.2022
AK GIDA SANAYI VE TIG.A.S.	41,239	872,098	778,490	134,846
L.R.D (ევროს ექვივალენტი ლარში)	347,936	11,727	359,663	-
L.R.D (ლარში დავალიანება)	156,051	173,759	319,023	10,786
LACTALIS CENTRAL ASIA	-	2,106,724	1,867,050	239,674
LACTALIS INVESTTISSEMENTS	367,613	172,098	539,711	-
LACTALIS-INFORMATIQUE	284,846	101,302	306,081	80,066
LAKTALIS VOSTOK AO	629,601	1,872,436	1,952,689	549,348
LAKTALIS-UKRAINA	764,634	6,019,703	5,881,169	770,396
LAKTALIS-UKRAINA (საქონელი გზაში)	-	132,773	-	132,773
LDA (ევროს ექვივალენტი ლარში)	82,982	3,295	81,019	5,258
LDA (ლარში დავალიანება)	101,347	77,459	170,200	8,607
SC DORNA LACTATE SA	1,452	96	284	1,265
ლაქტალის ჯორჯია	-	5,346,576	4,387,313	959,264

	01.01.2021	მიწოდებული საქონელი/ მომსახურება	გადახდილი თანხა	01.01.2022
ao belgorodski molocni kombinat	-	320,401	320,401	-
JSC Lactalis Caspi	28,317	50,366	78,684	-
LAKTALIS-UKRAINA	-	368	-	350
ლაქტალის ჯორჯია	83,849	37,773,016	37,856,866	-

საანგარიშო პერიოდში მმართველი რგოლის მიერ გამომუშავებული ანაზღაურება შეადგენდა 1,487,444 ლარს.

სასამართლო დავები

ბიზნესის ჩვეულებრივი ფუნქციონირების პირობებში კომპანიის მიმართ მიმდინარეობს სასამართლო დავები და საჩივრები. ხელმძღვანელობის მიერ მოწოდებული ინფორმაციის შესაბამისად, კომპანიას პერიოდის ბოლოს გააჩნია ისეთი ტიპის სასამართლო დავები, რომლებიც არსებით გავლენას არ იქონიებს კომპანიის საქმიანობაზე. ისინი ძირითადად მოიცავს მოთხოვნების გადაუხდელობაზე წარმოქმნილ სასამართლო პროცესებს, რომლის ფინანსური შედეგიც უკვე ასახულია კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაში და არ გამოიწვევს დამატებით დანახარჯებს. კომპანიას ასევე აქვს მიმდინარე სასამართლო დავა შემოსავლების სამსახურთან.

შპს სანტე ჯი ემ თი პროდუქტები
ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები
2021 წლის 31 დეკემბრის დასრულებული პერიოდისათვის
საანგარიშგებო ვალუტა ლარი

საქმიანობის უწყვეტობა

კომპანიის ფინანსური ანგარიშგება მომზადდა ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის დაცვით. ბუღალტრული აღრიცხვის ამ პრინციპის გამოყენება შესაფერისია თუ ხელმძღვანელობას არ აქვს განზრახული კომპანიის ლიკვიდაცია ან ოპერაციების შეწყვეტა, ან არ აქვს ასე მოქცევის რეალური ალტერნატივა. ფინანსური ანგარიშგების აუდიტის ფარგლებში, ჩვენ დავასკვნით, რომ ამ ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობის მიერ ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის გამოყენება არის შესაფერისი.

ხელმძღვანელობას არ მოუხდენია ისეთი არსებითი გაურკვევლობის იდენტიფიცირება, რაც წარმოქმნიდა მნიშვნელოვან ეჭვებს, რომ კომპანია ვერ შეძლებდა ყოფილიყო ფუნქციონირებადი საწარმო. კომპანიას აქვს დადებითი ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან და მიმდინარე წელს მოგება.

ბალანსის შემდგომი მოვლენები

ეს ფინანსური ანგარიშგება დამტკიცდა გამოსაშვებად ჯგუფის ხელმძღვანელობის მიერ 2022 წლის 27 ივნისს. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ დასკვნის გაშვებამდე გარდა ქვემოთ მოცემული საკითხებისა, მნიშვნელოვანი მოვლენები არ დაფიქსირებულა. კომპანიის საქმიანობა არ შეჩერებულა Covid 19-ის გამო დაწესებული შეზღუდვებით, მენეჯმენტმა მიმოიხილა ეკონომიკაზე გლობალური პანდემიის ნეგატიური გავლენის ეფექტი, განაახლა საპროგნოზო მონაცემები და საქმიანობის უწყვეტობაზე მსჯელობისას გაითვალისწინა მისი ეფექტი მოკლე და საშუალო ვადიან პერსპექტივაში. კომპანიას დაგეგმილი აქვს 2022 წელს დივიდენდის გამოცხადება 1,600,000ლ ოდენობით, რომელიც 2022 წლის დეკემბრის თვეში გაიცემა.

შპს სანტე ჯი-ემ-თი პროდუქტები მართველობითი ანგარიში 2021 წელი

შპს სანტე ჯი-ემ-თი პროდუქტები 1997 წლიდან ოპერირებს ქართული რძის პროდუქტების ბაზარზე და ამ ხნის განმავლობაში უპირობო ლიდერია რძისა და რძის პროდუქტების წარმოებაში. დარგის უმსხვილესი კომპანიის მიერ წარმოებული პროდუქციის მაღალი ხარისხი, მოქნილი და კვალიფიციური მენეჯმენტი, საიმედო და ავტორიტეტული პარტნიორები, აგრეთვე კეთილსინდისიერი ინვესტორები - ის უპირატესობებია, რაც უზრუნველყოფს "სანტე-ჯი-ემ-თი პროდუქტების"-ს წამყვანი პოზიციების შეუქცევადობას.

ჩვენ ვიყავით პირველი რძის გადამამუშავებელი საწარმო საქართველოში, რომელმაც დაწერა ISO და HACCP სტანდარტები, რაც გარანტიაა იმისა, რომ პროდუქტი, რომელსაც კომპანია ამზადებს მუდმივად ახალი და ხარისხიანია.

„სანტე ჯი-ემ-თი პროდუქტები“ მუდმივად განვითარებადი კომპანიაა, მან არა მხოლოდ შეინარჩუნა 24 წლიანი ისტორიის განმავლობაში შეძენილი გამოცდილება და ხარისხი, არამედ გააუმჯობესა და მოიყვანა თანხვედრაში ევროპულ სტანდარტებთან პროდუქციის წარმოების, ხარისხის, ადამიანის მენეჯმენტის, ტექნოლოგიების დარგში.

კომპანიაში ამჟამად 480-მდე ადამიანია დასაქმებული და თითოეული მათგანის როლი კომპანიის წარმატებული საქმიანობისთვის უმნიშვნელოვანესია. ასევე არაპირდაპირი გზით რეგიონალური სადისტრიბუციო ბაზებსა და ნედლი რძის შეგროვების ნაწილში სტაბილურ შემოსავალს იღებს დამატებით დაახლოებით 2200 ოჯახი მთელი ქვეყნის მასშტაბით

კომპანია 2010 წლიდან აქტიურად ახორციელებს ინვესტიციებს რძის ჩაბარების ინფრასტრუქტურის განვითარებაში, რაც აძლევს კომპანიას საშუალებას დღესდღეობით იყოს უმსხვილესი რძის მიმღები და გადამამუშავებელი საქართველოში. კომპანია ფლობს 6 რძის მიმღებ პუქტს მთელი საქართველოს მასშტაბით, რაც მოიაზრებს 500-მდე ფერმერთან თანამშრომლობას და მათი ოჯახებისთვის სტაბილური შემოსავლის არსებობას მთელი წლის განმავლობაში. ყოველწლიურად კომპანია დაახლოებით 12 000 000 ლიტრ რძეს იბარებს და ამუშავებს.

კომპანია ადგილობრივი ბაზრისთვის აწარმოებს ყველა ძირითად კატეგორიას (125 მდე დასახელების პროდუქტი) როგორცაა რძე, კარაქი, ყველი, მაწონი, კეფირი, არაჟანი, იოგურტები, ხაჭო, რძიანი დესერტები.

სანტეს სადისტრიბუციო ქსელით, რომელიც ითვლის საკუთრებაში არსებულ 69 მაცივარ-მანქანას, ყოველდღიურად მარაგდება მთელი საქართველო, მათ შორის მაღალმთიანი რეგიონებიც კი, რაც გვამლევს საშუალებას ათვისებული გვექონდეს სავაჭრო ქსელის 99% საიდანაც რეალიზაციის ძირითადი წილი მოდის თბილისზე.

იმისთვის, რომ კომპანია მუდმივად ახალ პროდუქტს აწვდიდეს მომხმარებელს ფლობს რამდენიმე სასაწყობო მეურნეობას საქართველოს მასშტაბით, საიდანაც მარაგდება მთელი საქართველო - რომელთაგან ძირითადი მდებარეობს თბილისში, 1 რეგიონალური ბაზა კახეთში, 1 იმერეთში, 1 სამეგრელოში და 1 აჭარაში.

კომპანია მუდმივად ცდილობს იყოს ერთი ნაბიჯით წინ მის კონკურენტებზე და ყოველთვის წარმოადგენს ბაზრის სხვა მოთამაშეებისთვის ლოკომოტივს ახალი კატეგორიების განვითარებაში. ლიდერი პოზიციების შენარჩუნებაში კომპანიას ეხმარება ბაზრის შიდა კვლევები, რომელიც აძლევს მას საშუალებას შეისწავლოს მომხმარებლის ინტერესები, საჭიროებები, კონკურენტული გარემო და შესაბამისად მიიღოს გადაწყვეტილებები მისი საქმიანობის ეფექტურად წარმართვისთვის, რადგან გვჯერა, რომ მომხმარებელი არის ამომავალი წერტილი- სამიზნე აუდიტორიის სწორად განსაზღვრა, მათ საჭიროებებს და მოთხოვნებს მორგებული პროდუქტი წარმოადგენს წარმატების ერთ-ერთ მთავარ გასაღებს პროდუქტისთვის.

მაგალითისთვის შეგვიძლია მოვიყვანოთ 2017-2018 წლებში სანტეს მიერ შექმნილი დასაღვეი მაწვნის ასორტიმენტი, რომელიც ახალი სიტყვა იყო მაწონის კატეგორიაში და დღეს მას კონკურენტების მხრიდან გამოუჩნდნენ მიმდევრები როგორც სოფლის ნობათის ასევე სხვა მწარმოებლების მხრიდან. ამასთან სანტე არის პირველი ინდუსტრიაში რომელმაც დაიწყო ყველის ბაზრის განვითარება და 2012 წლიდან ბაზარს გააცნო პირველი ქართული ბრენდი ყველის კატეგორიაში სანებოს სახით, ასეთივე მაგალითია 2019 წელს პირველი ინდუსტრიული გაწურული მაწონის გამოშვება, რაშიც სანტე ასევე ნოვატორია.

2020 წლის განმავლობაში მიუხედავად პანდემიური სიტუაციისა კომპანიას არ შეუწყვიტავს სიახლეების შეთავაზება ბაზრისთვის, სანტემ ამ პერიოდში განავითარა ახალი კატეგორიები, როგორიცაა აირანი, დასაღვეი მაწონის ხაზი. კოვიდ სიტუაციით შექმნილი კარანტინის პერიოდებში კი კომპანიამ გამოავლინა სოციალური პასუხისმგებლობა რამდენიმე მიმართულებით:

- სპეციალური ონლაინ პროგრამა ბავშვებისთვის გასართობი და საგანმანათლებლო დანიშნულებით.
- პროდუქციით უსასყიდლოდ მომარაგება სამედიცინო სექტორის
- პროდუქციით უსასყიდლოდ მომარაგება მრავალშვილიანი ოჯახების

2021 წელს კომპანიამ განახორციელა მხსვილი ინვესტიცია რძის შესაფუთის განახლებაში, და ბაზარს შესთავაზა სანტეს რძე უფრო მოსახერხებელ შეფუთვაში, თავსახურით. აღნიშნული ინვესტიციის საფუძველზე კომპანიას მიეცა საშუალება გაეზარდა საწარმოო სიმძლავრეები და გაეფართოვებინა ასორტიმენტი, შედეგად 2021 წლის ბოლოს 2022 წლის დასაწყისში სანტემ მომხმარებელს 4 ინოვაცია შესთავაზა რძის ხაზში: ულექტოზო რძე რომელიც ბაზარზე პირველი ადგილობრივი წარმოების ულექტოზო პროდუქტია, საბავშვო რძე ლოკო მოკო და ორი გემოებიანი ასორტიმენტი სანტისიმოს ხაზში.

გარდა ამისა 2021 წლის მნიშვნელოვან სიახლეებს მიეკუთვნება ასევე განახლებული დიზაინი მთავარ ბრენდებზე სანტესა და სანტისიმოზე.

სანტეს ერთ-ერთი მთავარი „აქტივი“ მისი 24 წლიანი გამოცდილებით შექმნილი რეპუტაცია და ხარისხიანი კომპანიის იმიჯია, რის შენარჩუნებასა და გაძლიერებისთვის კომპანია მუდმივად დებს ინვესტიციებს საწარმოო ხაზების განვითარებასა და გადაიარაღებაში. თანამედროვე ევროპული საწარმოო ხაზი კი იძლევა საშუალებას მომხმარებელს შევთავაზოთ მრავალფეროვანი ასორტიმენტი, შესაბამისად 125-მდე დასახელების პროდუქტში, ნებისმიერ მომხმარებელს შეუძლია გააკეთოს მისთვის მისაღები არჩევანი.

2016 წლიდან კომპანია სანტე მსოფლიოს რძის პროდუქტების ბაზრის ლიდერის, Lactalis ჯგუფის წევრი გახდა, რომელიც ცნობილია ისეთი ბრენდებით როგორიცაა President, Galbani, Parmalat, და რომელიც 200-ზე მეტ საწარმოს ფლობს მსოფლიოს მასშტაბით. ეს მოცემულობა კიდევ ერთი დამატებითი ფაქტორია ადგილობრივი წარმოების განვითარებისათვის და რძის პროდუქტების დარგში დანერგილი უმაღლეს ხარისხის სტანდარტებთან მიახლოებისათვის.

კომპანიის ერთ-ერთი მთავარი გამოწვევა უახლოეს მომავალში არის განავითაროს ყველის ბაზარი საქართველოში და ამას გარდა ქვეყნის ფარგლებს გარეთ გაიტანოს ქართული სახელი და ტრადიციები ისეთი პროდუქტების სახით მაგალითად როგორიცაა- ქართული ყველი ან თუნდაც ენდემური მაწონი.

კომპანია ამ ეტაპზე რეალიზაციას ახდენს მხოლოდ ადგილობრივ ბაზარზე. სამომავლო გეგმებსა და პრიორიტეტებში შედის ექსპორტის მიმართულებით მუშაობა რადგან წარმოებული პროდუქცია სრულიად აკმაყოფილებს უმაღლეს საერთაშორისო სტანდარტებს


ეფექტიანი რეინვესტირება ახალ ტექნოლოგიებსა და საწარმოო საშუალებებში წლიდან წლამდე საშუალებას გვაძლევს გავხდეთ ეფექტურები როგორც თვითღირებულების, ხარისხის გაუმჯობესებისა და წარმადობის ზრდის ნაწილში, ასევე ადგილობრივი ნედლი რძის შეგროვება-გადამუშავებაში რაც ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტია და ხელშეწყობის ობიექტია კომპანიისათვის.

ძირითადი რისკები და გამოწვევები რაც კომპანიას აქვს არის სავალუტო რისკები, რადგან გარდა ადგილობრივი ნედლი რძისა ნედლეულის ძირითად ნაწილს წარმოადგენს იმპორტი ევროპული ქვეყნებიდან. შესაბამისად რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულების ნაწილი მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული ევროს კურსის დინამიკაზე.

მიუხედავად იმისა, რომ ნედლი რძე პირდაპირ არ არის დამოკიდებული სავალუტო რისკებზე ამ შემთხვევაში გამოწვევას წარმოადგენს ქვეყანაში ნედლი რძის ბაზრის მკაცრი რეგულაციის არარსებობა, როგორც საგადასახადო ადმინისტრირების, ასევე სურსათის უვნებლობის კუთხით რადგან ნედლი რძის ძირითადი წარმოება/გადამუშავება ხდება მცირე მეწარმეების მიერ რომლებიც არ არიან დარეგისტრირებული და შესაბამისად გართულებულია მათი ადმინისტრირებაც. ეს საბოლოო ჯამში არასამართლიან კონკურენტულ გარემოს ქმნის ორგანიზებული ინდუსტრიისათვის

მიუხედავად იმისა, რომ კომპანია ფინანსურად მომგებიანია მოგება სრულად ხმარდება რეინვესტირებას ძირითად საშუალებებსა და ახალ ტექნოლოგიებში, ასევე რეალიზაციის ზრდის შესაბამისი საბრუნავი კაპიტალის დაფინანსებას.

კაპიტალდაბანდების მაჩვენებელი და დინამიკა ბოლო 3 წლის განმავლობაში:



სავალუტო რისკები:

კომპანიას აქვს დიდი სავალუტო რისკი, რადგან ძირითად მომწოდებლებთან (გარდა ნედლი რძის მომწოდებლებისა) ანგარიშსწორება ხდება ევროში ან აშშ დოლარში.

	სავალუტო რისკი		
	2019 წელი	2020 წელი	2021 წელი
EUR			
აქტივები	1,701,908	2,206,013	2,564,248
ვალდებულებები	(2,379,974)	(2,065,929)	(2,470,836)
	(678,066)	140,084	93,412
USD			
აქტივები	389,276	172,185	577,763
ვალდებულებები	(205,067)	(193,789)	(578,618)
	184,209	(21,604)	(855)
საკუროს ზარალი	(262,618)	(232,844)	123,871

რეალიზაციის ზრდის გეგმა შეადგენს საშუალოდ 5-6%-ს როგორც არსებული ასორტიმენტის, ასევე ახალი მიმართულებების განვითარების ხარჯზე. ამ ნაწილში კომპანიას პოზიტიური დინამიკა აქვს დაარსების დღიდან.

მნიშვნელოვანი მოვლენები:

2020 წლის მაისში B.S.A. INTERNATIONAL SA-ს მიერ მოხდა 15 % წილის გამოსყიდვა SKYVISION LTD-სგან და გახდა 100% წილის მფლობელი.

2020-2021 წელს COVID19-მა ზეგავლენა მოახდინა კომპანიის მიმდინარე პროცესებზე. მიუხედავად რიგი შეზღუდვებისა კომპანიას არ შეუწყვეტია წარმოების და დისტრიბუციის პროცესი. არ შეუმცირებია დასაქმებული თანამშრომლები და მომავალშიც აპირებს მათ შენარჩუნებას. COVID19-მა უარყოფითი ეფექტი იქონია ტურისტულ სეზონზე, თუმცა 2021 წელს შეიმჩნევა საგრძნობი ზრდა.

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი გამოწვევა რის წინაშეც დგას კომპანია არის დებიტორული დავალიანებების ზრდა, რაც დაკავშირებულია ჰორეკას ქსელთან, როდესაც სასტუმროებს და სხვადასხვა კვების ობიექტებს შეუჩერდათ მუშაობა და შეექმნათ ფინანსური პრობლემები, შედეგად გაუარესდა მათი გადამხდელუნარიანობა. ჰორეკას მიმართულებას უჭირავს მთლიან გაყიდვებში 5% . გადამხდელუნარიანობის შედარებით გაუმჯობესდა 2021 წლის მეორე ნახევარში, თუმცა ჯერ სრულად ვერ მიუახლოვდა პანდემიამდელ პერიოდის მაჩვენებელს.

ეროვნული ვალუტის გაუფასურებამ არსებითი ზიანი მიაყენა კომპანიას, ვინაიდან შესყიდვების 45-50% არის იმპორტირებული და თავის მხრივ ადგილობრივი მომწოდებლებიც, დამოკიდებულნი არიან უცხოურ ვალუტაზე, რამაც გამოიწვია შესასყიდი შფასების მცისიერი ზრდა.

„ანგარიშგების მომზადებასა და წარდგენაზე პასუხისმგებელი პირები:

დირექტორი: ერეკლე გამყრელიძე

რეალიზაციის ზრდის გეგმა შეადგენს საშუალოდ 5-6%-ს როგორც არსებული ასორტიმენტის, ასევე ახალი მიმართულებების განვითარების ხარჯზე. ამ ნაწილში კომპანიას პოზიტიური დინამიკა აქვს დაარსების დღიდან.

მნიშვნელოვანი მოვლენები:

2020 წლის მაისში B.S.A. INTERNATIONAL SA-ს მიერ მოხდა 15 % წილის გამოსყიდვა SKYVISION LTD-სგან და გახდა 100% წილის მფლობელი.

2020-2021 წელს COVID19-მა ზეგავლენა მოახდინა კომპანიის მიმდინარე პროცესებზე. მიუხედავად რიგი შეზღუდვებისა კომპანიას არ შეუწყვეტია წარმოების და დისტრიბუციის პროცესი. არ შეუმცირებია დასაქმებული თანამშრომლები და მომავალშიც აპირებს მათ შენარჩუნებას. COVID19-მა უარყოფითი ეფექტი იქონია ტურისტულ სეზონზე, თუმცა 2021 წელს შეიმჩნევა საგრძნობი ზრდა.

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი გამოწვევა რის წინაშეც დგას კომპანია არის დებიტორული დავალიანებების ზრდა, რაც დაკავშირებულია ჰორეკას ქსელთან, როდესაც სასტუმროებს და სხვადასხვა კვების ობიექტებს შეუჩერდათ მუშაობა და შეექმნათ ფინანსური პრობლემები, შედეგად გაუარესდა მათი გადამხდელუნარიანობა. ჰორეკას მიმართულებას უჭირავს მთლიან გაყიდვებში 5% . გადამხდელუნარიანობის შედარებით გაუმჯობესდა 2021 წლის მეორე ნახევარში, თუმცა ჯერ სრულად ვერ მიუახლოვდა პანდემიამდელ პერიოდის მაჩვენებელს.

ეროვნული ვალუტის გაუფასურებამ არსებითი ზიანი მიაყენა კომპანიას, ვინაიდან შესყიდვების 45-50% არის იმპორტირებული და თავის მხრივ ადგილობრივი მომწოდებლებიც, დამოკიდებულნი არიან უცხოურ ვალუტაზე, რამაც გამოიწვია შესასყიდი შფასების მყისიერი ზრდა.

ანგარიშგების მომზადებასა და წარდგენაზე პასუხისმგებელი პირები:

დირექტორი: ერეკლე გამყრელიძე

მნიშვნელოვანი მოვლენები:

2020 წლის მაისში B.S.A. INTERNATIONAL SA-ს მიერ მოხდა 15 % წილის გამოსყიდვა SKYVISION LTD-სგან და გახდა 100% წილის მფლობელი.

2020-2021 წელს COVID19-მა ზეგავლენა მოახდინა კომპანიის მიმდინარე პროცესებზე. მიუხედავად რიგი შეზღუდვებისა კომპანიას არ შეუწყვეტია წარმოების და დისტრიბუციის პროცესი. არ შეუმცირებია დასაქმებული თანამშრომლები და მომავალშიც აპირებს მათ შენარჩუნებას. COVID19-მა უარყოფითი ეფექტი იქონია ტურისტულ სეზონზე, თუმცა 2021 წელს შეიმჩნევა საგრძნობი ზრდა.

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი გამოწვევა რის წინაშეც დგას კომპანია არის დებიტორული დავალიანებების ზრდა, რაც დაკავშირებულია ჰორეკას ქსელთან, როდესაც სასტუმროებს და სხვადასხვა კვების ობიექტებს შეუჩერდათ მუშაობა და შეექმნათ ფინანსური პრობლემები, შედეგად გაუარესდა მათი გადამხდელუნარიანობა. ჰორეკას მიმართულებას უჭირავს მთლიან გაყიდვებში 5% . გადამხდელუნარიანობის შედარებით გაუმჯობესდა 2021 წლის მეორე ნახევარში, თუმცა ჯერ სრულად ვერ მიუახლოვდა პანდემიამდელ პერიოდის მაჩვენებელს.

ეროვნული ვალუტის გაუფასურებამ არსებითი ზიანი მიაყენა კომპანიას, ვინაიდან შესყიდვების 45-50% არის იმპორტირებული და თავის მხრივ ადგილობრივი მომწოდებლებიც, დამოკიდებულნი არიან უცხოურ ვალუტაზე, რამაც გამოიწვია შესასყიდი შფასების მცისიერი ზრდა.

ანგარიშგების მომზადებასა და წარდგენაზე პასუხისმგებელი პირები:

დირექტორი: ერეკლე გამყრელიძე

